

გამოცემა ერთ-ერთია მწვანე ალტერნატივას მიერ მომზადებული ანალიტიკური ნაშრომებიდან, რომლებიც ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის აქტუალურ საკითხებს ეხება. მისი მიზანია წამოწიოს საჯარო პოლიტიკის კონკრეტულ სფეროში გადაუდებლად გადასატრედი საკითხები და ხელი შეუწყოს დისკუსიას ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური და სოციალური განვითარებისა და გარემოსდაცვითი მიზნების ჰარმონიულად მიღწევის გზებზე.

წარმოდგენილი გამოცემა განკუთვნილია იმ ორგანიზაციებისა და პირებისთვის, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებებს საქართველოს საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის საკითხებზე. ნაშრომი, ასევე, სასარგებლო იქნება მათთვის, ვინც ცდილობს ზეგავლენა მოახდინოს საქართველოს საჯარო პოლიტიკაზე, მისი გაუმჯობესების მიზნით.

ეს გამოცემა ხელმისაწვდომია ასევე ინგლისურად

ასოციირების დღის წესრიგით განსაზღვრული გარემოსდაცვითი ვალდებულებების შესრულების შეფასება

2014-2016 წლები.

2014 წლის 27 ივნისს ხელი მოეწერა „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებას“¹. ამ ხელშეკრულებით, საქართველომ აიღო ვალდებულება, გაატაროს რეფორმები და უზრუნველყოს ქვეყნის კანონმდებლობის ევროკავშირის 300-მდე სამართლებრივ აქტთან პროგრესული დაახლოება (ეტაპობრივად, შეთანხმებული ვადების მიხედვით), მათ შორის, გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების სფეროში.

ამ ანგარიშის მიზანია, შეფასდეს ასოცირების შესახებ ხელშეკრულებისა და ასოცირების დღის წესრიგით აღებული ვალდებულებების შესრულების მდგომარეობა გარემოს დაცვის სექტორის რეფორმის კუთხით და მასთან დაკავშირებული სამუშაო პროცესი;

ანგარიში ეყრდნობა მთელი რიგ დოკუმენტებს, მათ შორის, საქართველოს მთავრობის ასოცირების შესახებ ხელშეკრულების განსახორციელებელი 2014 -2016 წლების სამოქმედო გეგმებსა და მათი შესრულების ანგარიშებს, ევროკავშირთან დაახლოების პროცესის საგზაო რუკას გარემოს დაცვისა და კლიმატთან დაკავშირებული ქმედებების საკითხებში², აგრეთვე სახელმწიფოს მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე მოთხოვნების პასუხად შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისგან მიღებულ საჯარო ინფორმაციას, კანონებისა და კანონპროექტების ანალიზს, ასევე შესაბამისი ანგარიშებსა და ექსპერტთა დასკვნებს და დაინტერესებული მხარეთა მიერ გაკეთებული ოფიციალურ განცხადებებს.

წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების სექტორში ზოგიერთი მიმართულებით განხორციელებული საქმიანობების მონიტორინგის შედეგები და სექტორში არსებული ძირითადი გამოწვევები, ევროკავშირის კანონმდებლობასა და პრაქტიკასთან ჰარმონიზაციის თვალსაზრისით, შემდეგ სფეროებში³:

- საზოგადოების მონაწილეობა;
- გარემოსდაცვითი მმართველობა და ჰორიზონტული საკითხები;
- ჰაერის ხარისხი;
- წყლის ხარისხი და წყლის რესურსების მართვა;
- ბიომრავალფეროვნების დაცვა;
- სატყეო სექტორთან დაკავშირებული საკითხები.

¹ ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის

² http://moe.gov.ge/files/news_img/2015/ivnisi/sagzao_ruka/AA-DCFTA_Roadmap_GEO.pdf

³ მწვანე ალტერნატივა პერიოდულად გამოაქვეყნებს როგორც შესრულების მონიტორინგის, ისე შესრულების ეფექტურობის ანგარიშებს.

ზოგადი შეფასება

2015 წელს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ ევროკავშირის ექსპერტების დახმარებით შეიმუშავა ევროკავშირთან დაახლოების პროცესის საგზაო რუკა გარემოს დაცვისა და კლიმატის საკითხებზე.

საგზაო რუკაში, ასოცირების დღის წესრიგის 2014⁴ და 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმებისგან განსხვავებით, განვიხილავთ ამა თუ იმ სექტორის რეფორმირების მიზნით გასატარებელი კონკრეტული ღონისძიებები და მოცემულია მათი შესრულების ვადები. ამასთან, საგზაო რუკა თითოეული ქმედებისთვის განსაზღვრავს სექტორში არსებულ სირთულეებსა და პრიორიტეტების დადგენის კრიტერიუმებს⁵, კონკრეტულ პასუხისმგებელ უწყებას (სამსახურის/სააგენტოს) დონეზე, განსაზღვრავს შუალედურ და საბოლოო ინდიკატორებს და შესაბამის თარიღებს. ეს, ეროვნული სამოქმედო გეგმისგან განსხვავებით, აიოლებს აღებული ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის შეფასებასა და მონიტორინგს.

ზოგადი პრობლემები და რეკომენდაციები

გარემოს დაცვის ნაწილში, 2014-2015 წლის ასოცირების შეთანხმების ეროვნული სამოქმედო გეგმებისა და საგზაო რუკის შესრულების ანალიზი აჩვენებს, რომ დაწყებულია მუშაობა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ჰარმონიზაციისთვის, როგორც ჰორიზონტული, ისე სექტორული (ჰაერი, წყალი, ბიომრავალფეროვნება, ტყე და სხვ.) მიმართულებით. თუმცა, ამავდროულად, არცერთი კანონპროექტი არაა საბოლოოდ მიღებული, მათ შორის, ისინიც, რომლებიც გეგმის თანახმად, უკვე მიღებული, ან სულ მცირე, წარდგენილი მაინც უნდა იყოს პარლამენტში განსახილველად.

კანონპროექტებით მოცული თემების სირთულიდან გამომდინარე, კანონპროექტების შემუშავება-განხილვა-მიღების პროცესის გადავადება არ იყო მოულოდნელი; გარემოს დაცვა რთული სექტორია, სადაც ბევრი დაინტერესებული მხარეა ჩართული და შესაბამისად, რთულია კონსენსუსის მიღწევა. მიუხედავად ამისა, უმეტეს შემთხვევაში, კანონპროექტების შემუშავების დასრულებისა და პარლამენტში წარდგენის ვადის გადავადებისას, საზოგადოებისთვის უცნობია შეფერხების მიზეზები. გარდა ამისა, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო არასდროს განმარტავს საზოგადოების მიერ წარდგენილი შენიშვნების გაუთვალისწინებლობის მიზეზებს⁶.

ასოცირების ხელშეკრულებით, აღებული ვალდებულებების შესრულების პროცესში, საზოგადოების მონაწილეობის პრაქტიკა კვლავაც არათანმიმდევრულია: რიც შემთხვევაში, პროცესი საკმაოდ გახსნილია და არასამთავრობო ორგანიზაციების, ექსპერტთა და დაინტერესებული საზოგადოების მოსაზრებებიც აისახება განსახილველად გამოქვეყნებულ დოკუმენტში; ზოგ შემთხვევაში კი, კანონმდებლობითი პროცესი დახურულია.

მაგალითად, 2010 წელს საქართველოს ტყის კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, სატყეო სექტორის რეგულირება ხდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული ოთხი კანონქვემდებარე აქტის მეშვეობით⁷, რომელშიც ხშირად შედის ცვლილებები (ერთ-ერთ აქტში, მაგალითად, დღემდე 60-ზე მეტჯერ იქნა ცვლილება შეტანილი) და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში ხდება ამ ცვლილებების საჯარო განხილვა. აღსანიშნავია, რომ ორჰუსის კონვენციის მოთხოვნების⁸ თანახმად, სავალდებულოა საზოგადოების მონაწილეობა მსგავსი ნორმატიული აქტების შემუშავებისას.

საქართველოს ტყის კოდექსის პროექტის შემუშავების პროცესში გამოყენებული იყო სხვა პრაქტიკა: სამინისტრომ ჩაატარა არაერთი საჯარო განხილვა, მათ შორის, პარლამენტში, ასევე, საქართველოს რეგიონებში, რათა მიეღო შენიშვნები და მიღწეულ ყოფილიყო საზოგადოებრივი კონსენსუსი მნიშვნელოვან საკითხებზე. ამასთან, მიუხედავად ამ გამჭვირვალობისა, კოდექსის პროექტის საქართველოს სამოციქლო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასთან განხილვის შემდეგ, კანონპროექტის ბოლო ვერსიას დაემატა გარკვეული პუნქტები, რომლებიც არ იყო შეთანხმებული სხვა დაინტერესებულ მხარეებთან.

⁴ 2014 წლის 3 სექტემბერს საქართველოს მთავრობის N1516 განკარგულებით დამტკიცდა ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2014 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა.

⁵ თითქმის ყველა სფეროში, ერთ-ერთ მთავარი კრიტერიუმია, დონორის მიერ მხარდაჭერილი და/ან დაგეგმილი პროექტის არსებობა.

⁶ რაც კანონმდებლობის შემუშავების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის კარგი პრაქტიკის განუყოფელი ნაწილია.

⁷ „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრის დადგენის წესი“ (მთავრობის დადგენილება N 240 2010 წლის 13 აგვისტო); „ტყის მოვლისა და აღდგენის წესი“ (მთავრობის დადგენილება N 241, 2010 წლის 13 აგვისტო); „ტყითსარგებლობის წესი“; (მთავრობის დადგენილება №242, 2010 წლის 20 აგვისტო); „ტყის აღრიცხვის, დაგეგმვისა და მონიტორინგის წესი“ (მთავრობის დადგენილება №179, 2013 წლის 17 ივლისი)

⁸ მუხლი 8. საზოგადოების მონაწილეობა აღმასრულებელი დებულებების და/ან საყოველთაოდ მისაღები სამართლებრივად სავალდებულო ნორმატიული დოკუმენტების შემუშავების პროცესში, ორჰუსის კონვენცია.

საზოგადოების უკეთ ინფორმირებისაკენ წინგადადგმული ნაბიჯია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებული გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებ-გვერდი, რომელსაც გააჩნია სხვადასხვა ელექტრონული შეტყობინების სერვისი, ასევე ნებადართული საქმიანობების/პროექტების მონაცემთა ბაზა (მოიცავს პროექტების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშებს და სამინისტროს მიერ ამ პროექტებზე მიღებულ გადაწყვეტილებებს).

მნიშვნელოვანია, რომ სასწრაფოდ შემუშავდეს პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს საზოგადოების ჩართულობას გარემოსთან დაკავშირებული გადაწყვეტილებებთან მიმართებაში როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის, ასევე ეროვნულ დონეზე. პროცედურებმა უნდა უზრუნველყოს ყველა დაინტერესებული პირის ჩართულობა პროცესში და ეს არ უნდა იყოს დამოკიდებული კონკრეტული პროცესების ნება-სურვილზე⁹. ამასთან, მნიშვნელოვანია დადგინდეს ერთიანი წესი, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების კომენტარების გონივრულ ვადას¹⁰, როგორც შენიშვნების მოწოდების ერთიანი წესი.

კანონპროექტების შემუშავებისა და პარლამენტისთვის წარდგენის შეთანხმებული ვადების გადავადების მიზეზები, ასევე, ახალი ვადები და განხილვის პროცედურები ნათლად უნდა იყოს ახსნილი საზოგადოებისთვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ასევე, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ ახსნას საზოგადოების მიერ წარდგენილი შენიშვნებისა და მოსაზრებების გაუთვალისწინებლობის მიზეზები. წინააღმდეგ შემთხვევაში, საზოგადოება დაკარგავს ნდობას თავად უწყებისა და პროცესებისადმი.

ყურადღება უნდა გამახვილდეს, ასევე, პარლამენტში კანონპროექტების განხილვის შედეგად მათი ცვლილების პროცესზე. პარლამენტში განხილვების შედეგად, კანონპროექტებმა, შესაძლოა, განიცადონ ისეთი ცვლილებები, რომლებმაც საქართველოს კანონმდებლობა არათუ დაახლოვოს ევროკავშირის კანონმდებლობასთან, არამედ, პირიქით, დააშოროს კიდევ. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ ევროკავშირმა, დონორებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ პარლამენტში კანონპროექტების განხილვის პროცესს¹¹.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომ გაუმჯობესდეს საზოგადოების ჩართულობის პროცესი¹² როგორც კანონპროექტების, ასევე კანონქვემდებარე ნორმატიულ დოკუმენტებთან დაკავშირებით და უზრუნველყოფილ იქნეს საზოგადოების ჩართულობის ერთგვაროვანი, კარგი პრაქტიკა.

გარემოსდაცვითი მმართველობა

გარემოსდაცვით სფეროში ევროკავშირის კანონმდებლობასთან დასაახლოებლად, ასოცირების შეთანხმებაში (დანართი XXVI, „გარემო“) თავდაპირველად გამოყოფილია ის აქტები, რომლებიც გამიზნულია გარემოსდაცვითი მმართველობისა და გარემოს საკითხების პოლიტიკის სხვა სფეროებში ინტეგრირების ხელშეწყობისთვის - ე.წ. გარემოსდაცვითი ჰორიზონტული კანონმდებლობა. ამ ნაწილში მოცემული ხუთი დირექტივიდან სამი ეხება დაგეგმილი პროექტების, გეგმებისა და პროგრამების გარემოზე ზეგავლენის შეფასებისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფის პროცედურებს. ესენია:

- 2011 წლის 13 დეკემბრის 2011/92/EU დირექტივა „გარკვეული სახელმწიფო და კერძო პროექტების გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ (კოდიფიცირებული);
- 2001 წლის 27 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2001/42/EC დირექტივა „გარკვეული გეგმებისა და პროგრამების გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“;
- 2003 წლის 26 მაისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2003/35/EC დირექტივა „გარემოსთან დაკავშირებული კონკრეტული გეგმებისა და პროგრამების შემუშავებაში საზოგადოების მონაწილეობას უზრუნველყოფის შესახებ, რომელსაც ასევე ცვლილებები შეაქვს საბჭოს 85/337/EEC და 96/61/EC დირექტივებში საზოგადოების მონაწილეობასთან და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით“.

⁹ დავით ნარმანია „პარტიზანულ მებაღეობაზე“ - არ ვთვლი, რომ ისეთი ძალა, რომლის ამოცანაც საქმიანობის ხელშეწყობა, მერიაში რაიმე სახის შეხვედრას უნდა ესწრებოდეს, <http://www.interpressnews.ge/ge/sazogadoeba/394759-davith-narmania-partizanal-mebagheobaze-ar-vthvli-rom-isethi-dzala-romlis-amocanac-saqmianobis-khelshehshlaa-meriashi-raime-sakhis-shekhvedras-unda-estsrebodes.html>

¹⁰ ესეც ყოველგვარზე წყდება კონკრეტული გადაწყვეტილების პირის მიერ, ზოგიერთ შემთხვევაში მიაჩნიათ რომ მაგ, კანონმდებლობის შემუშავების წინადადებებისა და კომენტარების ვადა 7 დღე არის გონივრული ვადა;

¹¹ ამ დოკუმენტში განხილული ყველა კანონპროექტი, სამინისტროს გეგმით, უნდა წარედგინოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების შედეგად არჩეულ პარლამენტს.

¹² პროცედურული თვალსაზრისით

გემოთ ჩამოთვლილ აქტებთან დაახლოების მიზნით, 2014 წლის აგვისტოდან, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ, საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების მონაწილეობით, დაიწყო ახალი გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის პროექტის მომზადებაზე მუშაობა¹³.

ახალი აქტით შემოთავაზებული მექანიზმების/პროცედურების ნაწილი (მაგალითად, გარემოზე გემოქმედების შეფასება - გმ (Environmental Impact Assessment, EIA) და გარემოზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის მქონე საქმიანობების შესახებ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა) უკვე რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით (1996 წლიდან) და ამდენად, ამ შემთხვევაში, მოქმედი ნორმები საჭიროებენ ევროკავშირის ზემოაღნიშნულ დირექტივებთან დაახლოებას¹⁴. პროექტით დარეგულირებული საკითხების მეორე ნაწილი კი, აბსოლუტურად ახალია საქართველოს კანონმდებლობისთვის; ეს ახალი ინსტრუმენტებია: სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება (Strategic Environmental Assessment, SEA) და გარემოზე ტრანსსასაზღვრო გემოქმედების შეფასების პროცედურა (transboundary EIA and SEA).

კანონპროექტთან დაკავშირებული ზოგიერთი პრობლემური შინაარსობრივი საკითხი

1. თუ გავითვალისწინებთ, რომ დღეს მოქმედი კანონმდებლობით გადაწყვეტილებების (მათ შორის, გარემოზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის მქონე საქმიანობებზე გადაწყვეტილებების) მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობები, პრაქტიკულად, არ არსებობს, კანონპროექტით მოცემული საზოგადოების მონაწილეობის მექანიზმები უდავოდ მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია გმ სისტემის დახვეწის და ასევე, ორპუსის კონვენციისა და ევროკავშირის შესაბამისი დირექტივების მოთხოვნათა შესრულების მიმართულებით. განსაკუთრებით მისასალმებელია ის, რომ საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფის ვალდებულება კვლავ დაუბრუნდა სახელმწიფოს და ასევე ის, რომ საზოგადოების ინფორმირება და მონაწილეობა უზრუნველყოფილია გმ სისტემის სხვადასხვა ეტაპზე. ამასთან, საზოგადოების მონაწილეობისგან სარგებლის სრულად მისაღებად, აუცილებელია, რომ მონაწილეობა შესაძლებელი იყოს ადრეულ, სკრინინგის ეტაპზე.
2. კანონპროექტში არ ჩანს კავშირი გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის პროცედურებსა და საქმიანობის დასაწყებად აუცილებელი სხვა ნებართვებისა და ლიცენზიების გაცემის პროცედურებს შორის.
3. კანონპროექტში არ ჩანს, როგორ რეგულირდება მეორე დანართში მოქცეული საქმიანობები მას შემდეგ, რაც სკრინინგის ეტაპზე დადგინდება, რომ საქმიანობა არ საჭიროებს გმ-ს ჩატარებას.
4. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია კანონპროექტით შემოტანილი მექანიზმი - ე.წ. „მიმდინარე საქმიანობის“ გაგრძელებაზე ნებართვის გაცემის პროცედურა, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ევროკავშირის კანონმდებლობის მოთხოვნებთან. ანალოგიურ მექანიზმს ითვალისწინებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა 2015 წლის 1 ივნისიდან¹⁵ და ის, პრაქტიკულად, უცვლელადაა გადმოტანილი ახალი საკანონმდებლო აქტის პროექტში.

პროექტის თანახმად, „მიმდინარე საქმიანობა“ ისეთი საქმიანობაა, რომელიც ამჟამად მოქმედი კანონმდებლობით, მართალია ექვემდებარება გმ-ს და საჭიროებს ნებართვას, მაგრამ მისი განხორციელება მაინც დაიწყო, გმ-ს ჩატარებისა და შესაბამისი ნებართვის მოპოვების გარეშე, 2015 წლის 1 ივნისამდე¹⁶¹⁷. პროექტით გათვალისწინებული „მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება“ პრაქტიკულად, ახალი ტიპის ნებართვაა, რომელიც გაიცემა უკანონო საქმიანობის ლეგალიზებისთვის; იმისათვის, რომ უკანონოდ ფუნქციონირებადმა სანარმომ „ლეგალურად“ შეძლოს ფუნქციონირების გაგრძელება და თანაც, უსასრულოდ.

¹³ „მწვანე ეკონომიკა აღმოსავლეთ სამეზობლოში“ (Eap GREEN) პროგრამის მეორე კომპონენტის ფარგლებში ევროკავშირის ფინანსური დახმარებითა და გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) ტექნიკური მხარდაჭერით

¹⁴ გმ-ის ინსტრუმენტი საქართველოში უკვე თითქმის 20 წელია რაც არსებობს. თუმცა, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, 1996-2005 წლებში არსებული გმ სისტემა უფრო მეტად შესაბამებოდა ევროკავშირის გმ-სთან დაკავშირებული დირექტივების მოთხოვნებს, ვიდრე 2005 წლის რეფორმების შემდეგ შეცვლილი გმ სისტემა, რომელიც დღემდე მოქმედებს. 2005-2006 წლებში გატარებული დერეგულაციის და ლიბერალიზაციის რეფორმის შედეგად (რომელიც მომდევნო წლებში კიდევ უფრო გაღრმავდა), გმ სისტემა დაშორდა ევროკავშირის შესაბამის მოთხოვნებს.

¹⁵ საქართველოს 2015 წლის 29 აპრილის კანონი „გარემოზე გემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2820712>

¹⁶ ყურადსაღებია, რომ ამავდროულად, ასეთი საქმიანობა, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, უკანონოდ ითვლება და ასეთი დარღვევას მოჰყვება ადმინისტრაციული და სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა

¹⁷ საქმიანობის განხორციელება გარემოზე გემოქმედების ნებართვის გარეშე, ისევე ჯარიმით შიდი ათასიდან ათი ათას ლარამდე (საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, 791 მუხლი; საქმიანობის განხორციელება გარემოზე გემოქმედების ნებართვის გარეშე, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ, ისევე ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე (საქართველოს სისხლის სამართალი კოდექსი, მუხლი 306).

ეს ინსტრუმენტი სრულიად მიუღებელია, ვინაიდან ის მიკერძოებულია არაკანონმორჩილი მენარმეების და არასამართლიანია კანონმორჩილი მენარმეების მიმართ; ის, ასევე, ქმნის კორუფციული გარიგებების დადების ფართო შესაძლებლობებს. მექანიზმი შემოტანილია მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ: (1) როგორც, საწარმოთა გაჩერების გარეშე, რეგულირების ქვეშ მოაქციონ საბჭოთა დროიდან მომუშავე ურჩი მსხვილი დამაბინძურებლები, რომელთათვისაც უბრალოდ არარენტაბელურია გარემოს დაბინძურების შემცირება, ადამიანთა (როგორც საწარმოებში დასაქმებულთა, ისე საწარმოთა ზეგავლენის ქვეშ მოქცეულთა) ჯანმრთელობაზე ზრუნვა და გარემოსდაცვით ღონისძიებებში ინვესტირება და (2) სახელმწიფო ორგანოებმა დაიტოვონ შესაძლებლობა, ლეგალური გახადონ „ზემოდან“ თავსმოხვეული, „ნებადართული“ და არალეგალურად მიმდინარე პროექტები¹⁸.

5. უდავოდ, მისასალმებელია, რომ კანონპროექტს შემოაქვს სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (SEA) მექანიზმი; თუმცა, ამავდროულად, გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ ანიჭებს რაიმე სტრუქტურულ სტრატეგიულ დოკუმენტებს (მაგ. გეგმებს, პროგრამებს, სტრატეგიებს) და ამდენად, კანონპროექტის ამ ნაწილის სრულფასოვანი ამოქმედებისთვის, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ განისაზღვროს სტრატეგიული დოკუმენტების როლი და ადგილი ქვეყნის განვითარების დაგეგმვის სისტემაში, მათ შორის, საბიუჯეტო დაგეგმვაში.

კანონპროექტის შემუშავების პროცესი

გარემოზე ზემოქმედების შეფასების კოდექსის შემუშავება 2014 წელს დაიწყო და მისი პირველადი ვერსია 2015 წლის მაისში გახდა საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი. 2015 წლის სექტემბრის დასაწყისში სამინისტრომ მომდევნო ვერსია გამოაქვეყნა. პროექტის ამ ვერსიის განსახილველად, 2015 წ. 23-24 სექტემბერს სამინისტროში შედგა დისკუსია მრგვალი მაგიდის ფორმატში. 2015 წ. 12 ოქტომბერს უნდა გამართულიყო კანონპროექტის კიდევ ერთი საჯარო განხილვა, მაგრამ სამწუხაროდ, მოგვიანებით, ეს საჯარო განხილვა გაუქმდა. ამის შემდეგ, ცხრა თვის განმავლობაში, უცნობი იყო რა ბედი ენია კანონპროექტს. კანონპროექტი მომდევნო ვერსია მხოლოდ და მხოლოდ 2016 წლის ივნისის ბოლოს გამოქვეყნდა; საზოგადოებას შენიშვნების წარდგენის ბოლო ვადად 2016 წლის 20 ივლისი დაუდგინდა¹⁹. კანონის მიღების საგზაო რუკით დადგენილმა ვადამ კი, გაურკვეველი დროით გადაიწია²⁰. კანონპროექტის მიღებისა და ამოქმედების ვადა, სულ მცირე, ერთი წლით გადავადდა.

წყლის სექტორში მიმდინარე საქმიანობა

საქართველო ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგი, გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების ნაწილში, წყლის რესურსების მართვასთან დაკავშირებულ შემდეგ პრიორიტეტული ღონისძიებებს გამოყოფს:

- მომზადების დაწყებას ეროვნული კანონმდებლობის შემუშავებისა და განხორციელებისათვის;
- კომპეტენტური უწყებების განსაზღვრას, მათ შორის შემდეგ სფეროებში: წყლის პოლიტიკა და ბუნებრივი რესურსების მართვა, ადამიანის მოხმარებისათვის განკუთვნილი წყლის ხარისხის საკითხების ჩათვლით, ურბანული ჩამდინარე წყლები;
- სხვადასხვა სამინისტროებს შორის მონაცემთა შეგროვება და გაცვლა, გარემოსდაცვითი ინფორმაციის საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობას და
- საქართველოს 2012-2016 წლების ეროვნული გარემოს დაცვის სამოქმედო პროგრამის სრულ განხორციელებას.

1. ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2014-2015 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმები

ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2014 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა დამტკიცდა 2014 წლის 3 სექტემბერს საქართველოს მთავრობის N1516 განკარგულებით. 2014 წლის სამოქმედო გეგმაში წყლის რესურსების

¹⁸ დაწვრილებით იხ. <http://greenalt.org/shenishvnebi-garemosdacvit-kodeqsze/>

¹⁹ აღსანიშნავია, რომ სამუშაო ვერსიის გამოქვეყნება დაემთხვა ომბუდსმენის მიერ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში გარემოსდაცვით პრობლემებთან დაკავშირებით საჯარო დებატები ს გამართვას. goo.gl/Ff7w78,

²⁰ 2012 წლის პარლამენტის ბოლო სამუშაო სესია იმართება სექტემბრის შუაში, და ვინაიდან კანონპროექტს არ გაუვლია საკომიტეტო მოსმენები, ძნელია მისი სესიაზე გატანის ვადებთან მსჯელობა.

მართვის სფეროში შევიდა შემდეგი აქტივობა: „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ კანონპროექტის მომზადება და დაინტერესებულ მხარეებთან მისი განხილვა²¹. აქტივობის შესრულების ვადად მითითებული იყო 2014 წელი.

2015 წლის ეროვნულ სამოქმედო გეგმაში, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 იანვრის N59 განკარგულებით შევიდა შემდეგი აქტივობები: 1) „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ კანონპროექტის პარლამენტში წარდგენა; 2) „წყლის ობიექტების იდენტიფიკაციისა და საზღვრების დადგენის წესის შესახებ“ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მომზადება; 3) მდინარეთა სააუზო მართვის გეგმების შემუშავების, განხილვისა და დამტკიცების პროცედურის შესახებ“ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მომზადება; 4) „წყლის რესურსების მონიტორინგის დაგეგმვისა და განხორციელების წესის შესახებ“ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მომზადება. „წყლის რესურსების მართვის შესახებ კანონპროექტის პარლამენტში წარდგენა უნდა მომხდარიყო 2015 წლის აპრილში, ხოლო კანონქვემდებარე აქტების - 2015 წლის ივნის-სექტემბერში.

“წყლის რესურსების მართვის” შესახებ კანონპროექტის პირველი ვერსიის მომზადება რამდენიმე წლის მანძილზე მიმდინარეობდა. საბოლოო სახით კანონპროექტი ჩამოყალიბდა 2014 წლის გაზაფხულზე. 2014 წლის შუა პერიოდიდან დაიწყო კანონპროექტის განხილვები დაინტერესებულ მხარეებთან. მიღებული კომენტარებისა და შენიშვნების ასახვის შემდეგ, გაიმართა კანონპროექტის მესამე სამუშაო ვერსიის საჯარო მოსმენები არასამთავრობო სექტორსა და ადგილობრივ თვითმმართველობებში. 2015 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის მიხედვით, კანონპროექტის წარდგენა საქართველოს პარლამენტისთვის იგეგმებოდა 2015 წლის საგაზაფხულო სესიაზე, თუმცა გადაიდო სამომდგომო სესიისთვის და შემდეგ, 2016 წლის საგაზაფხულო სესიისთვის. განხილვები გაგრძელდა 2015 წლის მეორე ნახევარშიც. კანონპროექტი აიტვირთა მთავრობის ელექტრონულ სისტემაში 2015 წლის ნოემბერში. საკვანძო შენიშვნები ეხებოდა მუნიციპალური წყალარინების, ირიგაციის და ენერგეტიკის სექტორებისათვის წყალაღების და წყალჩაშვების ნებართვების და ზედაპირული წყლის რესურსების მოხმარებისათვის მოსაკრებლის დადგენის ვადებს და პირობებს. 2015 წლის ნოემბრისათვის დასრულდა საბოლოო შენიშვნების მიღება სახელმწიფო სტრუქტურებიდან, მათ შორის აღნიშნული სექტორებიდან და მოხდა მათი ასახვა კანონპროექტის განახლებულ ვერსიაში. თუმცა კანონპროექტის პარლამენტისთვის წარდგენა ჯერ-ჯერობით არ მომხდარა და არ იგეგმება ახლო მომავალში. ერთ-ერთ ღია საკითხად რჩება სააუზო მართვაზე გადასვლისათვის საჭირო ინსტიტუციური მოწყობის უზრუნველყოფის საკითხი. ასევე, განიხილება მუნიციპალური წყალარინების სექტორისათვის წყალჩაშვების ნებართვების გადავადება 2025 წლამდე, გამომდინარე იქედან, რომ სექტორში განსახორციელებელი სარეაბილიტაციო სამუშაოები დიდ დროს მოითხოვს.

საბოლოოდ, მთავრობის ადმინისტრაციის რეკომენდაციით გადაწყდა, რომ წყლის რესურსების მართვის შესახებ კანონპროექტს ჩაუტარდება რეგულატორული ზემოქმედების შეფასება, რათა მოხდეს პრიორიტეტული საკითხების შეფასება და მათი განხორციელების დასაბუთება. კერძოდ, შეფასების დროს ყურადღება გამახვილდება ისეთ საკითხებზე, როგორცაა სააუზო მართვის ორგანოების ჩამოყალიბება და ამისათვის საჭირო ფინანსების უზრუნველყოფა, ზედაპირული წყლის რესურსების მოხმარების მოსაკრებელი და წყალაღების და წყალჩაშვების ნებართვები. შეფასება განხორციელდება დონორთა დახმარებით, თუმცა ჯერ-ჯერობით უცნობია რა ვადებში ჩატარდება შეფასება და როდის იქნება კანონი მიღებული.

კანონპროექტის განხილვების პროცესის პარალელურად, მომზადდა 6 კანონქვემდებარე აქტის პროექტი. აქედან ორი:

- “წყლის რესურსების მონიტორინგის დაგეგმვისა და განხორციელების წესის შესახებ”²² და
- “ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზღჩ) ნორმების გაანგარიშების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე”²³

მომზადდა “გაეროს ეკონომიკური კომისიის ევროპისათვის” (UNECE) მხარდაჭერით, “წყლის რესურსების მართვის შესახებ ეროვნული პოლიტიკური დიალოგის ფარგლებში”. აღნიშნული კანონპროექტები საბოლოო სახით ჩამოყალიბდა 2015 წლის გაზაფხულზე და ოფიციალურად გაეგზავნა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს.

²¹ ასოცირების შესახებ შეთანხმება, მუხლი 306; დანართი XXVI; გარემოს დაცვა - წყლის ხარისხი და წყლის რესურსების, მათ შორის, საზღვაო გარემოს მართვა: დირექტივა 2000/60/EC წყლის პოლიტიკის სფეროში საზოგადოებრივი მოქმედებისათვის ჩარჩოს შემუშავების შესახებ

²² იგივე, დირექტივა 2000/60/EC წყლის პოლიტიკის სფეროში საზოგადოებრივი მოქმედებისათვის ჩარჩოს შემუშავების შესახებ, მუხლი 8

²³ იგივე, დირექტივა 91/271/EEC ურბანული ჩამდინარე წყლის გაწმენდის შესახებ

ასევე, ევროკავშირის პროექტის “საერთაშორისო მდინარეების გარემოსდაცვითი პროგრამა” (EPIRB) ფარგლებში მომზადდა 2015 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ორი და დამატებით, კიდევ ორი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის (სულ 4 აქტის) პროექტი:

- “წყლის ობიექტების იდენტიფიკაციისა და საზღვრების დადგენის წესის შესახებ”²⁴;
- “მდინარეთა სააუზო მართვის გეგმების შემუშავების, განხილვისა და დამტკიცების პროცედურის შესახებ”²⁵;
- “მდინარეთა აუზების ინტეგრირებული მართვის სააუზო ტერიტორიული ერთეულების საზღვრების დამტკიცების შესახებ”²⁶;
- “სააუზო მართვის საკონსულტაციო-საკოორდინაციო საბჭოების შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ”²⁷.

აღნიშნულ კანონქვემდებარე აქტებზე მუშაობა დაიწყო 2014 წელს და სხვადასხვა აქტის მომზადება დასრულდა 2015 წლის აპრილიდან სექტემბრამდე პერიოდში, გეგმის შესაბამისად. თუმცა კანონქვემდებარე აქტების დამტკიცება დამოკიდებულია წყლის რესურსების მართვის შესახებ კანონის ძალაში შესვლაზე.

გარემოსა და კლიმატის სფეროში ასოცირების შეთანხმების განხორციელების 2016 წლის განახლებული საგზაო რუკის მიხედვით, წყლის რესურსების მართვის შესახებ კანონპროექტის მიღება 2017 წლის ზაფხულში იგეგმება, ხოლო შემოთ აღნიშნული კანონქვემდებარე აქტების - 2017 წლის სექტემბერში. საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით წყლის რესურსების მართვის სფეროში კანონმდებლობის მიღებისათვის დადგენილია 4 წლის ვადა (იხ. დანართი I), რაც 2018 წლის სექტემბერში იწურება.

2. ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2016 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა

2016 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის²⁸ თანახმად, გათვალისწინებული იყო „წყლის ხარისხის ეკოლოგიური სტანდარტების დამტკიცების თაობაზე“ კანონქვემდებარე აქტის მთავრობის მიერ დამტკიცება. აქტის სამუშაო ვერსია მომზადდა გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) მხარდაჭერით, თუმცა ჯერ-ჯერობით უცნობია როდის მოხდება კანონპროექტის საბოლოო სახით ჩამოყალიბება, ვინაიდან მისი წარდგენა მთავრობისათვის დამოკიდებულია “წყლის რესურსების მართვის შესახებ კანონის” მიღებაზე.

გეგმით ასევე გათვალისწინებული იყო სანაპირო წყლების ხარისხის მართვის სფეროში საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის პროექტის საქართველოს მთავრობისათვის წარდგენა. გაეროს განვითარების პროგრამისა და ევროკავშირის პროექტის “შავი ზღვის გარემოსდაცვითი მონიტორინგის გაუმჯობესება - ფაზა 2 (EMB-LAS)” ფარგლებში განხორციელდა არსებული საზღვაო კანონმდებლობის პირველადი შეფასება და შემუშავდა რეკომენდაციები, რომლის საფუძველზეც უნდა მომზადდეს ზღვის სანაპირო წყლების ხარისხის მართვის სფეროში საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი ევროკავშირის საზღვაო სტრატეგიის ჩარჩო დირექტივის შესაბამისად. გარემოსა და კლიმატის სფეროში ასოცირების შეთანხმების განხორციელების საგზაო რუკის შესრულების 2016 წლის ანგარიშის მიხედვით, ცვლილებების პაკეტის მომზადება მოსალოდნელია 2017 წლის გაზაფხულისათვის.

წყლის სექტორში განსახორციელებელ აქტივობათა ნაწილი, ასევე აისახა ასოცირების შეთანხმების განხორციელების საგზაო რუკა გარემოსა და კლიმატის სფეროებში

2015 წლის საგზაო რუკამ მთლიანობაში მოიცვა 27 აქტივობა. აქედან 20 აქტივობის დაწყება/განხორციელება იგეგმებოდა 2015-2016 წლებში. საგზაო რუკის მომზადების მომენტში (2015) უკვე დაწყებული იყო 10 აქტივობა, რომელთაგანაც 7 წყლის რესურსების მართვის კანონისა და შემოთ ხსენებული ექვსი კანონქვემდებარე აქტის მომზადებას ეხებოდა. როგორც უკვე აღინიშნა, მომზადებულია კანონისა და კანონქვემდებარე აქტების პროექტები, თუმცა მათი მიღება საგზაო რუკით დადგენილ ვადებში ვერ მოხერხდა. საგზაო რუკის განახლებული, 2016 წლის ვერსიის მიხედვით, კანონის მიღება 2017 წლის ზაფხულში იგეგმება, ხოლო კანონქვემდებარე აქტების - 2017 წლის სექტემბერში.

²⁴ იგივე, დირექტივა 2000/60/EC წყლის პოლიტიკის სფეროში საზოგადოებრივი მოქმედებისათვის ჩარჩოს შემუშავების შესახებ, მუხლი 3 (1)-(7)

²⁵ იგივე, დირექტივა 2000/60/EC წყლის პოლიტიკის სფეროში საზოგადოებრივი მოქმედებისათვის ჩარჩოს შემუშავების შესახებ, მუხლი 13, 14

²⁶ იგივე, დირექტივა 2000/60/EC წყლის პოლიტიკის სფეროში საზოგადოებრივი მოქმედებისათვის ჩარჩოს შემუშავების შესახებ, მუხლი 3 (1)-(7)

²⁷ იგივე, დირექტივა 2000/60/EC წყლის პოლიტიკის სფეროში საზოგადოებრივი მოქმედებისათვის ჩარჩოს შემუშავების შესახებ, მუხლი 13,14

²⁸ საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა 2016 წლის 7 მარტს, N382 განკარგულებით

აზერბაიჯანის რესპუბლიკასა და საქართველოს შორის მტკვრის აუზის წყლის რესურსების დაცვისა და მდგრადი გამოყენების სფეროში ორმხრივი შეთანხმების გაფორმება²⁹ საგზაო რუკაში მითითებული ვადების მიხედვით 2015 წლის ბოლოსათვის იყო დაგეგმილი. შეთანხმების საბოლოო ტექსტი ჯერ-ჯერობით არ არის მომზადებული. ორ ქვეყანას შორის გამართული კონსულტაციების შემდეგ კვლავ რჩებოდა შესათანხმებელი შეთანხმების მე-10 მუხლი, რომელიც წყლის ხარჯის დარეგულირების საკითხებს ეხება. საბოლოოდ, მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ ორივე ქვეყანაში ჩატარდება დამატებითი კვლევა მდინარე მტკვრის აუზში ხელმისაწვდომი წყლის რესურსების შესახებ და ასევე, მოხდება წყლის რესურსებზე სამომავლო მოთხოვნის პროგნოზირება. პროცესი მიმდინარეობს ეუთოს გარემო და უსაფრთხოების ინიციატივის (ENVSEC) ფარგლებში. აღნიშნული კვლევისათვის ტექნიკური დავალება უკვე მომზადდა და გაეგზავნა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს განსახილველად. საგზაო რუკის შესრულების 2016 წლის ანგარიშის მიხედვით, კვლევის დასრულება მოსალოდნელია 2016 წლის ბოლოსათვის. საგზაო რუკის განახლებული, 2016 წლის ვერსიის მიხედვით, ბილატერალური შეთანხმების გაფორმება 2017 წლის ბოლოსათვის არის დაგეგმილი.

- **პროგნოზირების მოდელის/ადრეული შეტყობინების სისტემის დანერგვა მდ. რიონის აუზის მონყვლადი თემების დაცვის მიზნით**^{30 31} მიმდინარეობს გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის “წყალდიდობებისა და წყალმოვარდნების მართვა მდინარე რიონის აუზში” ფარგლებში. გეგმის მიხედვით, ადრეული შეტყობინების სისტემის დანერგვა და გამოცდა უნდა განხორციელდეს 2015 წლის ბოლოსათვის. ამ დროისათვის, ადრეული შეტყობინების სისტემის პროგრამული უზრუნველყოფა მომზადებულია და მიმდინარეობს მისი ოპერირება სატესტო რეჟიმში. საჭიროა პროგრამის კალიბრაცია. საგზაო რუკის შესრულების 2016 წლის ანგარიშის მიხედვით, ადრეული შეტყობინების სისტემის სრულად ოპერირება შესაძლებელი იქნება 2016 წლის ბოლოსათვის.
- **მდ. ჭოროხი-აჭარისწყლის საპილოტე აუზის სააუზო მართვის გეგმის პროექტის მომზადება**³² დაიწყო 2014 წელს ევროკავშირის პროექტის “საერთაშორისო მდინარეების გარემოსდაცვითი პროგრამის” (EPIRB) ფარგლებში. საბოლოო გეგმის სამინისტროსათვის წარდგენა იგეგმებოდა 2015 წლის დეკემბერში. 2015 წლის სექტემბერში გამოქვეყნებულ გეგმაზე გაჩნდა ბევრი შენიშვნა, ასევე გეგმის შემუშავებაში არ იყო საკმარისად ჩართული ყველა დაინტერესებული მხარე³³. ამასთან, გადაწყდა, რომ მომზადებულიყო სანაპირო და გარდამავალი წყლების მართვის გეგმები და მომხდარიყო ამ გეგმების აღნიშნულ სააუზო მართვის გეგმაში ინტეგრირება. 2016 წლის ივლისში მოხდა გეგმის წარდგენა დაინტერესებული მხარეებისთვის³⁴. გეგმის მთავრობისათვის დასამტკიცებლად წარდგენა მოხდება “წყლის რესურსების მართვის შესახებ” კანონის მიღების შემდეგ 2017 წელს.

ასევე, 2015 წლის საგზაო რუკის მიხედვით, 2016 წელს უნდა დაწყებულიყო შემდეგი 9 ახალი აქტივობა:

1) სასოფლო-სამეურნეო წყაროებიდან (ნიტრატები) წყლის დაბინძურების ასპექტების ინტეგრირება ეროვნულ კანონმდებლობაში³⁵. თავდაპირველად, 2015 წლის საგზაო რუკაში გათვალისწინებული იყო ცალკე კანონქვემდებარე აქტის შემუშავება სასოფლო-სამეურნეო წყაროებიდან (ნიტრატები) წყლის დაბინძურების შესახებ. თუმცა, შემდეგ გადაწყდა რომ მიზანშეწონილი იქნებოდა ნიტრატების დირექტივის შესაბამისი დებულებების ასახვა წყლის რესურსების მართვის შესახებ არსებულ კანონმდებლობაში. საგზაო რუკის შესრულების 2016 წლის ანგარიშის

²⁹ იგივე, დირექტივა 2000/60/EC წყლის პოლიტიკის სფეროში საზოგადოებრივი მოქმედებისათვის ჩარჩოს შემუშავების შესახებ, მუხლი 3 (5)

³⁰ პროცესი მიმდინარეობს გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის “წყალდიდობებისა და წყალმოვარდნების მართვა მდინარე რიონის აუზში” ფარგლებში.

³¹ ასოცირების შესახებ შეთანხმება, მუხლი 308 (b)

³² იგივე, დირექტივა 2000/60/EC წყლის პოლიტიკის სფეროში საზოგადოებრივი მოქმედებისათვის ჩარჩოს შემუშავების შესახებ, მუხლი 13,14

³³ აღსანიშნავია, რომ მწვანე ალტერნატივამ 2015 წელს წარმოდგინდა გეგმაში აღმოაჩინა, რომ გეგმის შემუშავებისას, არ იყო გათვალისწინებული, რომ მდ. ჭოროხი-აჭარისწყლის აუზის საქართველოს მონაკვეთზე დღეის მდგომარეობით დაგეგმილი და მიმდინარე 8 საშუალო და დიდი ზომის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა, საქართველოს ტერიტორიაზე და ასევე 8 პესის მშენებლობა მდ. ჭოროხის თურქულ მონაკვეთზეც, რაც დამატებით საფრთხეს წარმოადგენს საპილოტე აუზისათვის. შესაბამისად, მწვანე ალტერნატივამ შენიშვნებით მიმართა განმახორციელებელს, ასევე ევროკომისიას, რომ წარმოდგინდა პილოტური გეგმის ერთ-ერთი პრიორიტეტი უნდა ყოფილიყო სწორედ საპილოტე აუზში მიმდინარე და დაგეგმილი ჰიდროპროექტები და მათთვის უნდა განსაზღვრულიყო პირველ რიგში გარემოსდაცვითი მიზნები და ამოცანები. მსგავსი გამოწვევის დაშვება წარმოადგენდა წყლის ჩარჩო დირექტივის მოთხოვნების უხემ დარღვევას და საერთოდ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებდა დაგეგმვის პროცესის სანდოობას.

³⁴ 2016 წლის განახლებული საგზაო რუკის მიხედვით, გეგმის დაინტერესებული მხარეებისათვის განსახილველად წარდგენა 2016 წლის ოქტომბერში იგეგმება, ხოლო მისი საბოლოო სახით ჩამოყალიბება მოსალოდნელია 2017 წლის გაზაფხულისათვის.

³⁵ იგივე, დირექტივა 91/676/EEC სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ნიტრატებით დაბინძურებისაგან წყლების დაცვის შესახებ

მიხედვით, ნაწილობრივ განხორციელდა აღნიშნული საკითხების ინტეგრირება არსებულ კანონპროექტებში. მაგ. სასოფლო-სამეურნეო სექტორიდან დიფუზური დაბინძურების მიმართ მოწყვლადი ტერიტორიების იდენტიფიცირების და მონიტორინგის საკითხები აისახა “წყლის რესურსების მართვის შესახებ” კანონის პროექტში და სხვა კანონქვემდებარე აქტებში. თუმცა, ჯერ-ჯერობით ნიტრატების დირექტივის დებულებების სრულად ინტეგრირება საქართველოს კანონმდებლობაში არ დასრულებულა. 2016 წლის განახლებული საგზაო რუკის მიხედვით, შესაბამისი ცვლილებების პროექტების მომზადება 2017 წლის დასაწყისისათვის იგეგმება, ხოლო ოფიციალურად მიღება - მოგვიანებით, 2017 წელს.

2) სახელმძღვანელო დოკუმენტის მომზადება, რომელშიც წარმოდგენილი იქნება თემატური გაიდლაინები სააუზო მართვის გეგმების მომზადებისათვის³⁶. სააუზო მართვის გეგმების მომზადების შესახებ გაიდლაინების მომზადებაზე მუშაობა ჯერ-ჯერობით არ დაწყებულია. აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტის “მმართველობა განვითარებისათვის” (G4G) ფარგლებში შემუშავდა სახელმძღვანელო დოკუმენტი ზედაპირული წყლის ობიექტების იდენტიფიკაციის, რეფერენსული მდგომარეობის და კლასიფიკაციის სისტემების შესახებ. განიხილება მისი დამტკიცება მინისტრის ბრძანებით. 2016 წლის განახლებული საგზაო რუკა ითვალისწინებს გაიდლაინების მომზადებას ზეწოლა-ზემოქმედების რისკის ანალიზის, ეკონომიკური ანალიზის და მონიტორინგის განხორციელების სფეროში. სახელმძღვანელო დოკუმენტის საბოლოო ვერსიის მომზადება 2017 წლის შუა პერიოდისთვის იგეგმება, ხოლო სამინისტროს მიერ მისი დამტკიცება 2017 წლის ბოლოსათვის.

3) წყლის ხარისხის მონიტორინგის პროგრამების (მათ შორის ნიტრატების კუთხით) მომზადება³⁷. საგზაო რუკის განხორციელების 2016 წლის ანგარიშის მიხედვით, ევროკავშირის პროექტის “საერთაშორისო მდინარეების გარემოსდაცვითი პროგრამა” (EPIRB) ფარგლებში მომზადდა ჭოროხი-აჭარისწყლის მონიტორინგის პროგრამა. დანარჩენი აუზების მონიტორინგის პროგრამების მომზადებაზე მუშაობა ჯერ-ჯერობით არ დაწყებულია. 2016 წლის განახლებული საგზაო რუკის მიხედვით, ჭოროხი-აჭარისწყლის სააუზო მართვის გეგმა, რომელშიც ინტეგრირებული უნდა იყოს აღნიშნული მონიტორინგის პროგრამა მთავრობის მიერ უნდა დამტკიცდეს 2017 წლის ბოლოსათვის. დანარჩენი აუზების მონიტორინგის პროგრამები უნდა მომზადდეს 2019 წლისათვის, ხოლო მიწისქვეშა წყლების მონიტორინგის გეგმები - 2022 წლისათვის.

4) წყალდიდობების რისკის საწყისი შეფასებების განხორციელება და წყალდიდობების რისკის რუკების მომზადება მდინარე მტკვრის საპილოტე აუზში³⁸. ჯერ-ჯერობით აღნიშნული მიმართულებით ქმედებები არ განხორციელებულა. შესაძლებელია აქტივობების განხორციელება ეუთოს გარემო და უსაფრთხოების ინიციატივის (ENVSEC) ფარგლებში, თუმცა ჯერ-ჯერობით არ არის გადაწყვეტილი აქტივობების დაფინანსების საკითხი. 2016 წლის განახლებული საგზაო რუკის მიხედვით, წინასწარი შეფასება უნდა განხორციელდეს 2017 წელს, დეტალური შეფასების ანგარიშები უნდა მომზადდეს 2018 წლისათვის, ხოლო წყალდიდობების რისკის რუკები მდინარე რიონისათვის უნდა მომზადდეს 2019 წლის დასაწყისისათვის.

5) წყალდიდობების რისკის წინასწარი შეფასება საქართველოს მასშტაბით და წყალდიდობების რისკის რუკების მომზადება (იმ ტერიტორიებისათვის, რომლებიც არ არის მოცული საგზაო რუკის სხვა ღონისძიებებით)³⁹. ამ მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები ჯერ-ჯერობით ძალიან მცირე მასშტაბისაა. მაგ. წყალდიდობების რისკის შეფასება ალაზნის შენაკადებზე დაიწყო 2016 წლის გაზაფხულზე პოლონეთის მთავრობის მხარდაჭერით. ღონისძიებების დასრულება 2017 წლის ბოლოსთვის იგეგმება. ასევე, გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით მიმდინარეობს მდინარე ვერეს შეფასება, რომელიც 2016 წლის სექტემბერში დასრულდება. თუმცა ეს არის მთლიანობაში განსახორციელებელი სამუშაოს ძალიან მცირე ნაწილი. 2016 წლის განახლებული საგზაო რუკის მიხედვით, წინასწარი შეფასებები უნდა განხორციელდეს 2017 წლის ბოლოსთვის, დეტალური შეფასების ანგარიშები და წყალდიდობის რისკის შეფასებები უნდა მომზადდეს 2019 წლისათვის, ხოლო წყალდიდობის რისკის რუკების მომზადება მთელი საქართველოსათვის უნდა დასრულდეს 2020 წლისათვის.

2016 წელს დასაწყები 9 აქტივობიდან, 2016 წლის განახლებული საგზაო რუკის მიხედვით 2017 წელს გადავადდა შემდეგი სამი აქტივობის დაწყება: 6) კანონქვემდებარე აქტის მომზადება “წყალდიდობების რისკების მართვის

³⁶ იგივე, დირექტივა 2000/60/EC წყლის პოლიტიკის სფეროში საზოგადოებრივი მოქმედებისათვის ჩარჩოს შემუშავების შესახებ, მუხლები 13, 14

³⁷ იგივე, დირექტივა 2000/60/EC წყლის პოლიტიკის სფეროში საზოგადოებრივი მოქმედებისათვის ჩარჩოს შემუშავების შესახებ, მუხლი 8; დირექტივა 91/676/EEC სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ნიტრატებით დაბინძურებისაგან წყლების დაცვის შესახებ, მუხლი 5

³⁸ იგივე, დირექტივა 2007/60/EC წყალდიდობების რისკების შეფასებისა და მართვის შესახებ, მუხლები 4-6

³⁹ იგივე, დირექტივა 2007/60/EC წყალდიდობების რისკების შეფასებისა და მართვის შესახებ, მუხლები 4-6

შესახებ”⁴⁰; 7) სააუზო მართვის გეგმების მომზადება იდენტიფიცირებული მდინარის აუზებისათვის (გარდა ჭოროხი-აჭარისწყლის მდინარის აუზისა)⁴¹ და 8) შემოღებულ ქვეყნებთან (გარდა აზერბაიჯანისა) საერთაშორისო მდინარეების, ტბების და სანაპირო წყლების თაობაზე ბილატერალური შეთანხმებების ინიცირება და მომზადება⁴², ხოლო 2018 წლამდე გადავადდა 2016 წელს დასაწყები მე-9 აქტივობის - 9) გაიდლაინების მომზადება წყალდიდობის რისკის მართვის გეგმებისათვის⁴³ დაწყება.

ატმოსფერული ჰაერის დაცვის სექტორში მიმდინარე საქმიანობები სანჯავის ხარისხი

ასოცირების ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების თანახმად, 2016 წელს პრიორიტეტულად შესასრულებელ ვალდებულებას წარმოადგენს ეროვნული კანონმდებლობის მიღება და კომპეტენტური ორგანო(ებ)ის განსაზღვრა „ზოგიერთ თხევად სანჯავში გოგირდის შემცველობის შემცირების შესახებ“ ევროკავშირის დირექტივის შესაბამისად.

სამინისტროს მიერ შემუშავებული „ჰაერის ხარისხის საგზაო რუკის“ თანახმად, 2015 წელს განსახორციელებელი პრიორიტეტები განისაზღვრა მათი გარემოსდაცვითი გადაუდებელობის თვალსაზრისით. რომელიც პირველ რიგში მოიცავდა „ზოგიერთ თხევად სანჯავში გოგირდის შემცველობის შემცირების შესახებ“ ევროკავშირის დირექტივის მოცულ საკითხებს.

შესაბამისად, 2015 წლის 27 მაისს საქართველოს მთავრობის დადგენილების №229 მიხედვით ცვლილებები შევიდა „საავტომობილო ბენზინის ხარისხობრივი ნორმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 31 დეკემბრის №124 დადგენილებაში⁴⁴.

ცხრილი. „საავტომობილო ბენზინის ხარისხობრივი ნორმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 31 დეკემბრის №124 დადგენილებაში შეტანილი ცვლილებები 2015 წლისათვის

პარამეტრი	მოქმედების დრო		
	1.01.2015-1.01.2016	1.01-2016-1.01.2017	01.01.2017-დან
ტყვიის შემცველობა, არაუმეტეს გ/ლ	0.005	0.005	0.005
ბენზოლის მოცულობითი წილი, არაუმეტეს %	3	1	1
არომატული ნახშირწყალბადების მოცულობითი წილი, არაუმეტეს %	42	35	35
გოგირდის შემცველობა, არაუმეტეს მგ/კგ	50	50	10

ამასთან, ცვლილებები შევიდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, რაც აძლევს საშუალებას დააჯარიმდეს ის ოპერატორი რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე ისეთი ბენზინის ან/და დიზელის სანჯავის იმპორტისას, რომელიც არ შეესაბამება ზემოთაღნიშნულ ნორმებს. აგრეთვე დაჯარიმდება მსგავსი სანჯავის წარმოებაც და მიწოდებაც.

კონტროლს სამი სახელმწიფო უწყება – გარემოს დაცვის სამინისტროს ზედამხედველობის სამსახური, ენერგეტიკის სამინისტრო და შემოსავლების სამსახური განახორციელებს. დაგეგმილია, რომ გარემოს დაცვის ზედამხედველობის სამსახური ჩაატარებს შემოწმებს ყოველგვარი გრაფიკის და კომპანიების წინასწარი გაფრთხილების გარეშე. 2016

⁴⁰ იგივე, დირექტივა 91/676/EEC სასოფლო სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ნიტრატებით დაბინძურებისაგან წყლების დაცვის შესახებ
⁴¹ იგივე, დირექტივა 2000/60/EC წყლის პოლიტიკის სფეროში საზოგადოებრივი მოქმედებისათვის ჩარჩოს შემუშავების შესახებ, მუხლები 13, 14
⁴² იგივე, დირექტივა 2000/60/EC წყლის პოლიტიკის სფეროში საზოგადოებრივი მოქმედებისათვის ჩარჩოს შემუშავების შესახებ, მუხლი 3 (5)
⁴³ იგივე, დირექტივა 2007/60/EC წყალდიდობების რისკების შეფასებისა და მართვის შესახებ, მუხლი 7
⁴⁴ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/285381>

წლის მაისიდან, მსგავსი შემონიშნება ორჯერ ჩატარდა და გარემოს დაცვის ზედამხედველობის თანამშრომლებმა ავტოგასამართ სადგურებზე საწვავის სინჯები აიღეს და მას ლაბორატორიული ანალიზი ჩაუტარეს. კვლევის თანახმად, ყველა ავტოგასამართ სადგურზე აღებული სინჯი შესაბამისობაში იყო დღეს კანონმდებლობის დადგენილ ნორმებთან⁴⁵.

გარდა ამ ცვლილებისა, სამინისტროში დაწყებულია მუშაობა რამდენიმე დადგენილება/რეგულაციებზე და ნავარაუდებია რომ 2016 წლის ბოლოსთვის მოხდება მათი ამოქმედება. ეს მოიცავს:

- მთავრობის დადგენილების პროექტზე „ატმოსფერული ჰაერის ხარისხის სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“;
- სტაციონარული წყაროებიდან ემისიების ანგარიშგების ელექტრონული სისტემის და ჰაერის ხარისხის შეფასების მოდელირების დასაწერად;
- მთავრობის დადგენილების პროექტის შემუშავებაზე „ზოგიერთი თხევადი საწვავის ხარისხობრივი ნორმების, ანალიზის მეთოდებისა და მათი დანერგვის ღონისძიებათა ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“.

2015 წელს დაიწყო მუშაობა საქართველოს კანონზე „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“, რომელშიც, უნდა აისახოს ჰაერის ხარისხის დაცვის სფეროში ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების ხელშეკრულებით განსაზღვრული ყველა ღონისძიება. 2015 წლის 15 დეკემბერს საქართველოს პარლამენტში დარეგისტრირდა საკანონმდებლო პაკეტი „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“. აღნიშნული კანონი მიღებული და დამტკიცებული იქნა 2016 წლის 26 აპრილს⁴⁶.

კანონპროექტში წარმოდგენილი ცვლილებები ძირითადად ემსახურება “ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ” მონრეალის 1987 წლის ოქმის ფარგლებში საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებებისა და საქართველოს და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შესრულებას.

აღნიშნული კანონპროექტით, ერთ-ერთი ცვლილება ეხება ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციის ზღვრულად დასაშვებ ნორმებს. ამჟამად მოქმედი კანონმდებლობით, გარემოს მდგომარეობის ხარისხობრივი ნორმები (რომელიც მოიცავს ჰაერის, წყლის, ნიადაგის ხარისხობრივ ნორმებს) განისაზღვრება 5 წელიწადში ერთხელ, დებულებით „გარემოს მდგომარეობის ხარისხობრივი ნორმების შესახებ“, რომელსაც შეიმუშავებს და ამტკიცებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით.

კანონპროექტის მიხედვით, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციის ზღვრულად დასაშვები ნორმები წოდებულია როგორც ატმოსფერული ჰაერის ხარისხობრივი სტანდარტი და წარმოდგება გარემოს ხარისხობრივი ნორმების (სტანდარტების) შემადგენელ ნაწილად. მას ამტკიცებს საქართველოს მთავრობა ტექნიკური რეგლამენტის - ატმოსფერული ჰაერის ხარისხობრივი სტანდარტის სახით.

ამავე კანონპროექტით განსაზღვრულია ატმოსფერული ჰაერის ხარისხის სტანდარტების დადგენა ევროკავშირის კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, ევროკავშირის კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი მოთხოვნების გათვალისწინებით: ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციის ზღვრულად დასაშვები ნორმები დგინდება ევროგაერთიანების საბჭოს 2008 წლის 21 მაისის 2008/50/EC დირექტივის „ატმოსფერული ჰაერის ხარისხი და უფრო სუფთა ჰაერი ევროპისთვის“ და 2004 წლის 15 დეკემბრის 2004/107/EC დირექტივის „ატმოსფერულ ჰაერში დარიშხანი, კადმიუმი, ვერცხლისწყალი, ნიკელი და პოლიციკლური არომატული ნახშირწყალბადები“ საფუძველზე“.

2014 წელს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა მთელი რიგი ტექნიკური რეგლამენტები, რომელთა მოქმედებაც

⁴⁵ აღსანიშნავია, რომ კვლევის კონკრეტული შედეგები არ გამოქვეყნებულა და სამინისტრო შემოიფარგლა განცხადებების გაკეთებით. http://commersant.ge/?m=5&news_id=40048&cat_id=6

⁴⁶ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3253825>

არ იყო ასახული „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში. შესაბამისად, კანონპროექტი მიმართულია შემუშავებული ტექნიკური რეგლამენტების სამართლებრივ მოქმედებაში ჩართვისა და „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ასახვისაკენ. ეს ტექნიკური რეგლამენტებია:

- აირმტვერდამჭერი მოწყობილობის ექსპლუატაციის ტექნიკური რეგლამენტი, დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის № 21 დადგენილებით;
- არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში ატმოსფერული ჰაერის დაცვის ტექნიკური რეგლამენტი, დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის № 8 დადგენილებით;
- ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების ინვენტარიზაციის ტექნიკური რეგლამენტი, დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის № 42 დადგენილებით;
- დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის და ანგარიშგების წარმოების ტექნიკური რეგლამენტი, დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის № 413 დადგენილებით;
- დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მეთოდის, დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის დამდგენი სპეციალური გამზომ-საკონტროლო აპარატურის სტანდარტული ჩამონათვალისა და დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის საანგარიშო მეთოდის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი, დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის № 435 დადგენილებით;
- ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურების ინდექსის გამოთვლისა და ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურების დონეების მიხედვით განსაკუთრებით დაბინძურებული, მაღალი დაბინძურების, დაბინძურებული და დაბინძურების არმქონე კატეგორიის რეგიონებისათვის ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურების ინდექსების სიდიდეების ტექნიკური რეგლამენტი, დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის № 448 დადგენილებით;
- „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების გაანგარიშების ტექნიკური რეგლამენტი, დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის № 408 დადგენილებით.

კანონპროექტით ასევე განსაზღვრულია ცვლილებები, რომელთა შესრულება მოიცავს ახალი ტექნიკური რეგლამენტების შემუშავებისა და დამტკიცების ვალდებულებას საქართველოს მთავრობის მიერ. მათ შორის:

- ტექნიკური რეგლამენტი - ატმოსფერული ჰაერის ხარისხობრივი სტანდარტი;
- ტექნიკური რეგლამენტი - საქართველოში ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურების დონეზე დაკვირვების პუნქტების/სადგურების მინიმალური სტანდარტული რაოდენობის, განლაგებისა და ფუნქციონირების წესების, აგრეთვე დაბინძურების დონის გამოშვების სტანდარტული მეთოდების ჩამონათვალის შესახებ;
- ტექნიკური რეგლამენტი „ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დამაბინძურებელი სხვადასხვა სახეობის სატრანსპორტო და სხვა მოძრავ-მექანიკური საშუალებებიდან გაფრქვევის (გამონაბოლქვის) ევროკავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებული ზღვრულად დასაშვები ნორმების საქართველოს ტერიტორიაზე სამოქმედოდ შემოღების შესახებ“;
- ტექნიკური რეგლამენტი „სახიფათო სანარმოო ობიექტებზე სამრეწველო ავარიებისაგან გარემოს დაცვის ღონისძიებების დამტკიცების თაობაზე“;
- „მაცივარაგენტზე მომუშავე დანადგარის მომსახურების სარეგისტრაციო ჟურნალის წარმოების ტექნიკური რეგლამენტი“;
- „ოზონდამწლევი ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვის გაცემის და წლიური საიმპორტო კვოტის განაწილების ტექნიკური რეგლამენტი.

არსებული გამონვევები ატმოსფერული დაცვის სექტორში

2015 წელს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შეფასება და მონიტორინგი, ქვეყნის მასშტაბით ამ საკითხზე პასუხისმგებელი ორგანო გარემოს ეროვნული სააგენტოა. აღსანიშნავია, რომ ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მონიტორინგი წარმოებს ხუთ ქალაქში: თბილისში, რუსთავში, ზესტაფონში, ქუთაისსა და ბათუმში. თბილისში 2016 წლის აგვისტოდან ფუნქციონირებს ოთხი ავტომატიზებული სადგური⁴⁷, კიდევ ერთი ავტომატური სადგური ფუნქციონირებს აბასთუმანში.

2015-2016 წლებში გარემოს ეროვნულმა სააგენტომ ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შეფასებისათვის ჩაატარა ინდიკატორული გაზომვები სამ ეტაპად. ატმოსფერული ჰაერის გაზომვები განხორციელდა საქართველოს ცხრა ქალაქის 58 წერტილში, მათ შორის თბილისის 26 წერტილში⁴⁸. გაიზომა აზოტისა და გოგირდის დიოქსიდების, ოზონისა და ბენზოლის კონცენტრაციები. გარემოს ეროვნული სააგენტომ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე წარმოადგინა ორი ანგარიში და გაზომვების შესაბამისი ინტერაქტიული რუკა^{49 50 51}. რუკაზე აღნიშნულია გაზომვის წერტილები და თითოეულ აღნიშვნასთან მითითებულია ჰაერის დაბინძურების ინდექსი (რიცხვი და განმარტება) და დამაბინძურებელი ინგრედიენტის კონცენტრაცია მკგ/მ³-ში.

აღსანიშნავია, რომ ინდიკატორული კვლევების საფუძველზე ჰაერის დაბინძურების ხარისხი სამინისტროს მიერ განისაზღვრა როგორც საშუალო დაბინძურება, რაც სამინისტროს მტკიცებით არ წარმოადგენს განგამის საფუძველს⁵².

თუმცა ინდიკატორული კვლევების ასეთმა ინტერპრეტაციამ, სავსაშუალო ბევრი კითხვა გააჩინა, მათ შორის:

- როგორ შეირჩა გაზომვის წერტილები? ასახავს თუ არა შერჩეული ადგილებიდან მიღებული მონაცემები საერთო სურათს? როგორ მოხდა ჰაერის დაბინძურების ინდექსის დადგენა? რას ეფუძნებოდა აღნიშნული მონაცემის წარმოდგენა: ევროკავშირის რომელიმე დირექტივას თუ, რომელი ქვეყნის ნორმატიული დოკუმენტს?

გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციის მიხედვით, ინდიკატორული გაზომვების შედეგების შეფასება მოხდა ევროკავშირის ნორმების შესაბამისად, რომლის შესაბამისი შკალა წარმოდგენილია ცხრ. 1-ში.

აღნიშნული „ჰაერის ხარისხის შესაბამისი ინდექსები“ წარმოადგენს „ჰაერის ხარისხის ჯანმრთელობის ინდექსს“ (Air Quality Health Index), რომელიც გამოიყენება სხვადასხვა ქვეყნებში (კანადა, დიდი ბრიტანეთი და სხვა). აღნიშნული ინდექსის მიხედვით მოსახლეობას ეძლევა მითითებული თუ როგორ მოიქცნენ ამა თუ იმ შემთხვევაში⁵³.

საქართველოში მოქმედი ტექნიკური რეგლამენტის მიხედვით ატმოსფეროს დაბინძურების ინდექსი კომპლექსური მაჩვენებელია, რომელიც იანგარიშება მინიმუმ 5 მავნე ნივთიერების საშუალოწლიური მაჩვენებლების მიხედვით, რომლებიც მიღებულია ყოველდღიური 4-ჯერადი გაზომვების საფუძველზე. დაბინძურების ინდექსის შესაბამისად, საკვლევი ტერიტორიისათვის ხდება შემდეგი.

⁴⁷ 2012-2016 წლამდე თბილისში იყო მხოლოდ ერთი ავტომატიზებული სადგური, რომელიც მდებარეობს ვაშლიჯვარში და ზომავს ფონურ ინფორმაციას

⁴⁸ აღნიშნული გაზომვები ჩატარდა სამ 14 დღიანი ხანგრძლივობით. სინჯები საანალიზოდ გაიგზავნა დიდი ბრიტანეთის აკრედიტებულ ლაბორატორიაში.

⁴⁹ https://www.google.com/maps/d/viewer?mid=zFoxy_U3i7Zl.kq2RDzkYIY_Y

⁵⁰ <http://nea.gov.ge/uploads/slides/565c3ff59033f.pdf>

⁵¹ <http://nea.gov.ge/uploads/slides/5690e012716d8.pdf>

⁵² გიგლა აგულაშვილი: თბილისში ჰაერის ხარისხი ევროსტანდარტის შესაბამისად საშუალო დონისაა, 3 დეკემბერი, 2015 <http://www.ipress.ge/new/18831-gigla-agulashvili-tbilisshi-haeris-khariskhi-evrostandartis-shebabamisad-sashualo-donisaa>

⁵³ ეს სქემა გამოყენებულ იქნა ევროკომისიის ფინანსური მხარდაჭერილ პროექტში - „ჰაერის ხარისხის მართვა“, რომლის განხორციელებას საქართველოში გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით უზრუნველყოფდა კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი (CENN). ამ პროექტის მიზანი იყო საქართველოში ევროსტანდარტების შესაბამისი ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის სისტემის განვითარება, თუმცა გამოყენებული ინდიკატორული მეთოდით მიღებული მონაცემების დამუშავება და შედეგების ადექვატური წარმოდგენა გარკვეულ კითხვებს აჩენს.

ცხრილი. 1. ევროკავშირის ნორმების შესაბამისად ჰაერში მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციის მნიშვნელობები და ჰაერის ხარისხის შესაბამისი ინდექსები

მიწისპირა ოზონი (O₃)

ინდექსი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
ზღვარი მკგ/მ ³	დაბალი 0-39	დაბალი 40-79	დაბალი 80-120	საშუალო 121-147	საშუალო 148-174	საშუალო 175-200	მაღალი 201-234	მაღალი 235-267	მაღალი 268-300	ძალიან მაღალი 301+

აზოტის დიოქსიდი (NO₂)

ინდექსი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
ზღვარი მკგ/მ ³	დაბალი 0-13	დაბალი 14-26	დაბალი 27-40	საშუალო 41-54	საშუალო 55-67	საშუალო 68-80	მაღალი 81-93	მაღალი 94-106	მაღალი 107-120	ძალიან მაღალი 121+

ბენზოლი (C₆H₆)

ინდექსი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
ზღვარი მკგ/მ ³	დაბალი 0-1,6	დაბალი 1,7-3,3	დაბალი 3,4-5	საშუალო 5,1-5,6	საშუალო 5,7-6,3	საშუალო 6,4-7	მაღალი 7,1-8	მაღალი 8,1-9	მაღალი 9,1-10	ძალიან მაღალი 10+

გოგირდის დიოქსიდი (SO₂)

ინდექსი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
ზღვარი მკგ/მ ³	დაბალი 0-41	დაბალი 42-83	დაბალი 84-125	საშუალო 126-166	საშუალო 167-207	საშუალო 208-250	მაღალი 251-333	მაღალი 334-417	მაღალი 418-500	ძალიან მაღალი 500+

ცხრილი. 2. ჰაერის ხარისხის სტანდარტი ევროკავშირის დირექტივების მიხედვით 2015 წლის მდგომარეობით

გასაშუალოებული პერიოდი	ზღვრული მნიშვნელობა
გოგირდის დიოქსიდი - SO₂	
ერთი საათი	350 მკგ/მ ³ , გადაჭარბება - არაუმეტეს 24 შემთხვევისა კალენდარულ წელში
ერთი დღე (24 სთ)	125 მკგ/მ ³ , გადაჭარბება არაუმეტეს 3 შემთხვევისა კალენდარული წელი
აზოტის დიოქსიდი - NO₂	
ერთი საათი	200 მკგ/მ ³ , გადაჭარბება - არაუმეტეს 18 შემთხვევისა კალენდარულ წელში
კალენდარული წელი	40 მკგ/მ ³
ბენზოლი - C₆H₆	
კალენდარული წელი	5 მკგ/მ ³
ნახშირუანი - CO	
მაქსიმუმ 8 სთ დღეში	10 მგ/მ ³
ტყვია - Pb	
კალენდარული წელი	0,5 მკგ/მ ³
PM₁₀	
ერთი დღე (24სთ)	50 მკგ/მ ³ , გადაჭარბება - არაუმეტეს 35 შემთხვევისა კალენდარულ წელში
კალენდარული წელი	40 მკგ/მ ³
PM_{2.5}	
კალენდარული წელი	25 მკგ/მ ³

ოზონი - O₃	
მაქსიმუმ 8 სთ დღეში	120 მკგ/მ ³
დარიშხანი - As	
კალენდარული წელი	6 ნგ/მ ³
კადმიუმი - Cd	
კალენდარული წელი	5 ნგ/მ ³
ნიკელი - Ni	
კალენდარული წელი	20 ნგ/მ ³
პოლიარომატული ნახშირწყალბადები (ბენზ(ა)პირენის მიხედვით)	
კალენდარული წელი	1 ნგ/მ ³

კატეგორიების მინიჭება: განსაკუთრებით დაბინძურებული, მაღალი დაბინძურების, დაბინძურებული და დაბინძურების არმქონე.

ამასთან, ევროკავშირში ჰაერის ხარისხის მხრივ მოქმედი დირექტივების შესაბამისად (იხ. ცხრ. 2. ჰაერის ხარისხის ნორმატივები ევროკავშირში) გამოიყენება ზოგადი ჰაერის ხარისხის ინდექსი (the Common Air Quality Index) სხვადასხვა დროის შუალედებისათვის: საათური, დღიური და წლიური ინდექსები. თითოეული ამ ინდექსისათვის არსებობს გამოთვლის შესაბამისი მეთოდი, რომელიც ეფუძნება მონიტორინგის მძლავრ და კარგად ორგანიზებული სისტემის მონაცემებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ორკვირიანი ინდიკატორული გაზომვების შედეგად ატმოსფეროს დაბინძურების ინდექსის ანგარიში და ჰაერის დაბინძურების ხარისხის დადგენა აზრს მოკლებულია.

ევროკავშირში ჰაერის ხარისხის მხრივ მოქმედი დირექტივების შესაბამისად (იხ. ცხრ. 2. ჰაერის ხარისხის ნორმატივები ევროკავშირში) გამოიყენება ზოგადი ჰაერის ხარისხის ინდექსი (the Common Air Quality Index) სხვადასხვა დროის შუალედებისათვის: საათური, დღიური და წლიური ინდექსები. თითოეული ამ ინდექსისათვის არსებობს გამოთვლის შესაბამისი მეთოდი, რომელიც ეფუძნება მონიტორინგის მძლავრ და კარგად ორგანიზებული სისტემის მონაცემებს.

თუ შევადარებთ წარმოდგენილი ორი ცხრილის (ცხრ. 1 და ცხრ. 2) მონაცემების შეჯერებას, ნათლად ჩანს, რომ „საშუალო“ ინდექსი (ინდექსი-4) ნიშნავს ევროკავშირში მოქმედი ჰაერის ხარისხის ნორმატივის გადაჭარბებას ანუ ადგილი აქვს ჰაერის ხარისხის გაუარესებას და არაკეთილსაიშედო მდგომარეობას.

ევროკავშირის ატმოსფერული ჰაერის ხარისხისა და ევროპაში უფრო სუფთა ჰაერის შესახებ დირექტივის თანახმად, რომლის შესრულების ვალდებულება დაფიქსირებულია ასოცირების ხელშეკრულებაში, ძალზედ მნიშვნელოვანია დიდი ყურადღება მიექცეს მონაცემების სწორ ინტერპრეტაციას და ჰაერის ხარისხის შეფასების ადექვატური მეთოდების გამოყენებას.

აღსანიშნავია, ისიც, რომ თვითონ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ მონოღებული ინფორმაციის თანახმად მთელ რიგ შემთხვევებში ჰაერის ხარისხი PM_{2,5} და PM₁₀ შენონილ ნაწილაკებთან მიმართებაში, საგანგაშოა როგორც ვაშლიტვარის ასევე აბასთუმნის ფონურ სადგურებში.

54

ვამლიჯვარის სადგურის მონაცემები 2015 წ⁵⁴.

	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
PM2,5	49,63	40,58	29,03	14,81	14,04	15,94	15,99	11,60	21,90	30,12	23,70	27,01
PM10	72,34	69, 84	53,92	31,30	34,29	43,90	38,04	32,46	52,90	52,32	45,68	43,21
SO2												
CO												

აბასთუმანი, PM10

	I კვარტალი	მეორე კვარტალი	მესამე კვარტალი	მეოთხე კვარტალი
2014	22,47	44,60	31,62	47,99
2015	-	24,04	38,51	38,62

გარემოს ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, მტვრის ოდენობა ხშირად 2-3 ჯერ აღემატება დადგენილ ნორმას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონმდებლობა მტვრის სხვადასხვა ფრაქციებისთვის იყენებს შემდეგ ნორმებს⁵⁵, PM10 – 48 მიკროგრამი/ერთ კუბურ მეტრში, ხოლო PM2.5 25 მიკროგრამი/ერთ კუბურ მეტრში,, რაც მკვეთრად აღემატება მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის სტანდარტებს⁵⁶.


2016 წლის მაისში მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებულმა კვლევამ, რომლის თანახმადაც რომ საქართველო ჰაერის დაბინძურებით გამონვეული სიკვდილიანობით მსოფლიოში პირველ ადგილზეა და შეადგენს 292 ადამიანს ყოველ 100 000 კაცზე. ამ კვლევამ, საკმაოდ დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია.

⁵⁵ ორივე მიკროსკოპული ზომის მყარი ნაწილაკებია, რომლებიც სასუნთქი გზების გავლით ფილტვებში იღეჭება და ჯანმრთელობისთვის საზიანოა. ჰაერში მათი გადაჭარბებული რაოდენობით არსებობა ადამიანების ჯანმრთელობას მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის.

⁵⁶ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის რეკომენდაციები:

PM_{2.5}	PM₁₀
10 µg/m ³ annual mean	20 µg/m ³ annual mean
25 µg/m ³ 24-hour mean	50 µg/m ³ 24-hour mean

Figure 1.8 ▶ Mortality rate attributed to air pollution (household and outdoor) by country, 2012



Note: Only a selection of countries are highlighted.
Sources: WHO (2016b) and IEA analysis.

საქართველოს გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ფეისბუქის გვერდზე გამოქვეყნდა განცხადება, რომელშიც ნათქვამია „საქართველოს შესახებ ინფორმაცია მოცემულია მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO) „მსოფლიო ჯანმრთელობის სტატისტიკა 2016“ ცნობარის მონაცემებით, რომელიც, თავის მხრივ, ეყრდნობა 2012 წლის გაბომვებს. ამასთან, მიმდინარე წელს WHO-ს მიერ მტვერთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ კვლევებში ქალაქების მიხედვით (2014 წლის გაბომვებზე დაყრდნობით - [იხ. j.mp/whooutdoor](http://www.j.mp/whooutdoor)) თბილისის დაბინძურება შეესაბამება აღმოსავლეთ ევროპის საშუალო და დაბალშემოსავლიანი ქვეყნების მედიანურ მაჩვენებელს, რაც არ იძლევა IEA-ის ანგარიშში წარმოდგენილი დასკვნის გაკეთების საფუძველს. **უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო პრაქტიკაში არ გამოიყენება მეთოდოლოგიები, რომლებიც ერთმნიშვნელოვნად დააკავშირებდა ატმოსფერული ჰაერის ხარისხს სიკვდილიანობასთან სხვა ფაქტორებისაგან (მაგ. შენობების შიგნით ჰაერის ხარისხი, მწვევლების რაოდენობა) მონყვევით**⁵⁷; ხოლო საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში, მრავალი რეფორმის მიუხედავად, ჯერ კიდევ არ არსებობს ერთიანი საინფორმაციო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფდა გარემოს ჯანმრთელობის მდგომარეობის ამსახველი ინფორმაციის სათანადო მართვასა და მსგავსი დასკვნების გაკეთების საშუალებას. გარდა ამისა, გარემოს ეროვნული სააგენტო გარკვეული პერიოდულობით ატარებს ინდიკატორულ გაბომვებს ატმოსფერულ ჰაერში აზოტის და გოგირდის დიოქსიდების, ოზონისა და ბენზოლის შემცველობის დადგენის მიზნით. მიღებული შედეგების შედარება ევროპულ ნორმებთან არც ერთ შემთხვევაში არ გადალევს მაღალი გადახრის სურათს⁵⁸“.

მას შემდეგ რაც ჯანდაცვის სამინისტრომ მოიწვია საქართველოში მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მისია და გაიცვალა ინფორმაცია აღმოჩნდა, რომ კვლევაში იყო უზუსტობა, „კერძოდ სამი კომპონენტიდან, ერთ-ერთ ინდიკატორად 2003-2005 წლების მონაცემები იყო გამოყენებული. რაც იმას ნიშნავს, რომ ჰაერის დაბინძურების

⁵⁷ ამ განცხადებით გარემოს დაცვის სამინისტრო თითქოს არ ღებულობს პასუხისმგებლობას შენობის შიდა დაბინძურებაზე.

⁵⁸ http://meteo.gov.ge/radiation_pdf/69.pdf

მაჩვენებლებით საქართველოს არ უჭირავს პირველი ადგილი. ახალი მონაცემები კი უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი⁵⁹ ამასთან, მისიამ შემფოთება გამოთქვა ჰაერის გარე დაბინძურებისა და საქართველოში გულ-სისხლძარღვთა ავადობის დონე და საქართველო შეესაბამება აღმოსავლეთ ევროპის დაბინძურების საშუალო დონეს⁶⁰. რაც თავისთავად ოპტიმიზმის საფუძველს არ ქმნის.

შესაბამისად, ახალ ანგარიშში საქართველო აღარ იქნება პირველ ადგილას დაბინძურებით გამოწვეული სიკვდილიანობით მსოფლიოში. ამის საფუძველს, იძლევა ის ფაქტი, რომ 2012-2016 წლებში 2003-2005 წლებთან მიმართებაში საკმაოდ შემცირდა მყარი საწვავის მოხმარება გათბობისა და სატრანსპორტის მომზადებისთვის, რაც იწვევს შენობის შიდა დაბინძურებას.

თუმცა გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ საქართველოში გარე ჰაერის დაბინძურება საკმაოდ მაღალია, განსაკუთრებით Pm10 და Pm2.5 მიმართებაშიც, რაც კარგად ჩანს თვითონ გარემოს ეროვნული სააგენტოს მონაცემებში, მნიშვნელოვანია რომ ქვეყანამ შეიმუშავოს და მიიღოს ჰაერის ხარისხის კონტროლის და დაცვის ეროვნული სტრატეგია და გეგმა, რომელიც აუცილებლად შესასრულებელი ყველა სახელმწიფო უწყებისთვის. კარგი იქნება თუ გარემოს დაცვის და ჯანდაცვის სამინისტროები ასევე ოპერატიულად სთხოვენ დონორებს და საქართველოს მთავრობას, რომ ხელი შეუწყონ როგორც ჰაერის ხარისხის მონიტორინგის სრულფასოვანი სისტემისა და ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების ქმედებების გატარებას 2017 წელს.

სახიფათო ნარჩენები

2014 წელს საქართველოს მთავრობამ, დაამტკიცა „ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების შემცირების ეროვნული სტრატეგია“⁶¹, რომლის თანახმადაც განისაზღვრა ძირითადი მიმართულებები, როგორცაა პრევენცია, გამოვლენა, მზადყოფნა და რეაგირება. ამ დოკუმენტის საფუძველზე უნდა მომზადდეს თითოეული სექტორში სამოქმედო გეგმა.

ამასთან, ასოცირების ხელშეკრულების ვალდებულებების გათვალისწინებით შემუშავდა და ძალაში შევიდა “ნარჩენების მართვის კოდექსი”⁶², ხოლო 2016 წელს საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცდა ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგია და 2016-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა. ასევე 2015-2016 წწ. მიღებულ იქნა მთელი რიგი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა - ტექნიკური რეგლამენტებისა - რომლებმაც განსაზღვრეს ნაგავსაყრელების მართვის, ნარჩენების ტრანსპორტირების, შეგროვების, დამუშავების, აღრიცხვის, კლასიფიკაციის, შენახვისა და რეგისტრაციის წესი და პირობები.

ასევე, 2016 წელს შეტანილ იქნა ცვლილებები მთელ რიგ საკანონმდებლო აქტებში, მათ შორის საქართველოს კანონში „საქართველოს ტერიტორიაზე ნარჩენების იმპორტისა და ტრანზიტის შესახებ“ და „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“, მათი საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებთან ჰარმონიზაციის მიზნით.

წარმატებით მიმდინარეობს მონრეალის ოქმის მრავალმხრივი ფონდის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებული აქტივობების, რის შედეგადაც დამატებით არის ამოღებული ძირითადი ოზონდამშლელი ნივთიერებები, მათ შორის ჰალონები. აღსანიშნავია, ისიც რომ საქართველომ 2015 წელს მიაღწია წყალბადქლოროფტორნახშირბადების მოხმარების 10%-იან შემცირებას, ხოლო 2016 წელს საბოლოოდ შეწყვიტა ერთ-ერთი წყალბადქლოროფტორნახშირბადის (1-ქლორ-1,1-დიფტორეთანი (HCFC-142b)) მოხმარება. ამასთანავე, შექმნილია ოზონდამშლელი ნივთიერებების (ოდნ) იმპორტ-ექსპორტის სანებართვო სისტემა და ამ კუთხით გაძლიერებულია საბაჟო უწყების შესაძლებლობები, განხორციელდა საბაჟოების ტექნიკური აღჭურვა ოდნ-ების კონტრაბანდასთან ბრძოლის კუთხით; შექმნილია რეციკლირების ორი ცენტრი, სადაც ხდება მოხმარებული მაცივარაგენტების განახლება ხელახლა გამოყენებისათვის, რაც ამცირებს ახალ მაცივარაგენტებზე მოთხოვნას. ქვეყანაში არსებული ოდნ-ების ნარჩენები გატანილია და უსაფრთხოდაა განადგურებული ევროპაში.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ მომზადებული ევროკავშირი- საქართველოს ასოცირების ხელშეკრულების ქიმიური ნივთიერებების მართვის საგზაო რუკის თანახმად, სამინისტრომ 2017-2019

⁵⁹ <http://jandacva.ge/jandacvis-msoffio-organizaciis-eqspertebi-saqartveloshi-imyofebian>

⁶⁰ <http://jandacva.ge/jandacvis-msoffio-organizaciis-eqspertebi-saqartveloshi-imyofebian/>

⁶¹ http://gov.ge/files/382_40792_816495_164-1.pdf

⁶² 2015 წლის 1 იანვრიდან,

წლებში უნდა მოამზადოს ახალი კანონი „საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ“ და შექმნას „საშიში ქიმიური ნივთიერებების ეროვნული რეესტრის“, აგრეთვე შეიმუშავოს კანონი და კანონქვემდებარე აქტები ნივთიერების და ნარევის კლასიფიკაციის, ეტიკეტირებისა და შეფუთვის შესახებ, აგრეთვე კანონქვემდებარე აქტი ვერცხლისწყლის შესახებ⁶³. თუმცა, კანონის დადგენილ ვადებში მიღების შემთხვევაში, საბოლოო წარმატება დამოკიდებული იქნება იმაზე თუ რამდენად ადექვატური ნაბიჯები გადაიდგმება კანონის ეფექტიანი და სრულფასოვანი ამოქმედებისთვის.

პრაქტიკული თვალსაზრისით, საქართველოში მიმდინარეობს ორი პროექტი რომელიც მიზნდა ისახავს სოფელურავეში და სოფელ ცანაში არსებული დარიშხანშემცველელი ნარჩენების უსაფრთხო განთავსებას ახალ აშენებულ სამარხებში და მდინარის დაბინძურების აღკვეთას⁶⁴.

ასევე, 2016 წლის გაზაფხულზე, 208 ტონა ვადაგადასული პესტიციდი იქნა გატანალი საქართველოდან საფრანგეთში მათი შემდგომი გაუვნებელყოფისთვის, პროგრამას აფინანსებს ევროკავშირი და გაეროს სურსათის და სოფლის მეურნეობის საერთაშორისო ორგანიზაცია (FAO). ამავე პროექტის ფარგლებში, გამხორციელდა ვადაგასული პესტიციდების იდენტიფიცირება და ინვენტარიზაცია ქვეყნის მასშტაბით, შეფასდა დაბინძურებული ტერიტორიები და პესტიციდების სასიცოცხლო ციკლი, გაიმართა ცნობიერების ამაღლების მართვის კამპანიები პესტიციდების უსაფრთხო გამოყენებასთან დაკავშირებით ფერმერებისათვის.

ბიომრავალფეროვნების დაცვის სექტორში მიმდინარე აქტივობები

ბიომრავალფეროვნების სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის სრულყოფილი შესრულება ასოცირების ხელშეკრულების ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს, ვინაიდან მე-13 თავის (ვაჭრობა და მდგრადი განვითარება), 233-ე მუხლის თანახმად, ქვეყანა ვალდებულია უზრუნველყოს მდგრადი სატყეო სექტორის განვითარება.

2013-14 წლებში საქართველოს ხელისუფლებამ დაამტკიცა ბიომრავალფეროვნების დაცვასა და მდგრად გამოყენებასთან დაკავშირებული ეროვნული პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტები: „საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფცია“⁶⁵ და „საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა 2014-2020“⁶⁶.

აღნიშნულ სტრატეგიულ დოკუმენტებში აღწერილია ბიომრავალფეროვნების დაცვასა და სატყეო სექტორის მართვასთან დაკავშირებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები. სხვა საკითხებთან ერთად, განხილულია ინფრასტრუქტურული/ეკონომიკური პროექტების ნეგატიური ზემოქმედება ეკოსისტემებზე (მათ შორის, ტყეებზე). ბიომრავალფეროვნების ნაწილში, საქართველომ ასოცირების ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან ორი წლის მანძილზე ეროვნული კანონმდებლობა შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს „ფრინველთა კონსერვაციის შესახებ (2009/147/EC) და „ბუნებრივი ჰაბიტატებისა და ველური ფაუნისა და ფლორის კონსერვაციის შესახებ“ (92/43/EEC) ევროკავშირის დირექტივებთან, ასევე შეიმუშავოს ახალი ტყის კოდექსი, 233 მუხლით აღებული ვალდებულებების შესრულებისთვის.

2015 წლის ბოლოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ კომენტირებისა და შემდგომი განხილვისათვის გამოაქვეყნა საქართველოს კანონების „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ და „ტყის კოდექსი“ პროექტები.

სწორედ ზემოხსენებულმა კანონებმა უნდა უზრუნველყონ ეკოსისტემებისა და ჰაბიტატების დაცვა და მდგრადი გამოყენება. ამ კანონპროექტებმა უნდა ჩაანაცვლონ მოქმედი კანონები „ცხოველთა სამყაროს შესახებ (1996)“, „ტყის კოდექსი (1999)“, „წითელი ნუსხისა და წითელი წიგნის შესახებ“ (2003), „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ (2007), „ეკოლოგიური ექსპერიზის შესახებ“ (2007), „ტყის ფონდის მართვის შესახებ“ (2010).

⁶³ აღსანიშნავია, ორი გარემოება: 1) მთავარ კომპეტენტურ ორგანოდ კვლავ განსაზღვრულია შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. 2) განსხვავებით, ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შეთანხმების გარემოს დაცვის და კლიმატის ცვლილების საგზაო რუკაში შესული სხვა სექტორებისგან განსხვავებით, გარემოს დაცვის სამინისტროს ამ საქმიანობისთვის არა აქვს მოპოვებული დონორების მხარდაჭერა.

⁶⁴ პროექტი მიმდინარეობს პოლანდიის მთავრობის დაფინანსებითა და საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით.

⁶⁵ საქართველოს პარლამენტის დადგენილება N1742-ს, 11.12.2013

⁶⁶ საქართველოს მთავრობის დადგენილება N343, 08.05.2014

ბიომრავალფეროვნება

2015 წლის ნოემბერში გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ საქართველოს კანონის სამუშაო ვერსიის მიზანი ევროკავშირის შესაბამის დირექტივებთან საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზება წარმოადგენს.

წარმოდგენილი კანონპროექტი საკმაოდ ხარვეზიანია, ვინაიდან ის არ არეგულირებს ბიომრავალფეროვნების კონსერვაციასა და გამოყენებასთან დაკავშირებულ ყველა იმ საფრთხეს, რომელიც განსაზღვრულია 2014-2020 წწ. საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგიასა და მოქმედებათა გეგმაში (შემდგომში - „სბსმგ“)⁶⁷, მათ შორის ისეთ საფრთხეებს, როგორცაა როგორცაა ჰაბიტატების განადგურება, დეგრადაცია (მათ შორის გარემოს დაბინძურების შედეგად) და ფრაგმენტაცია; ინვაზიური სახეობებისა და დაავადებების გავრცელება (განსაკუთრებით მცენარეებთან მიმართებაში).

კანონპროექტში, პრაქტიკულად არ არის განხილული ბიოსაფრთხოების საკითხები. ამასთან, საზოგადოების ინფორმირებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში, საზოგადოების მონაწილეობის სამართლებრივი მექანიზმები უგულვებლყოფილია მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხების რეგულირებისასაც.

კანონპროექტის ძირითადი ტექსტიდან, მისი გარდამავალი დებულებებიდან და განმარტებითი ბარათიდან გაუგებარია, თუ როგორ იქნება დარეგულირებული ნადირობისა და თევზჭერის (როგორც სამოყვარულო, ისე კომერციული) საკითხები. გაუგებარია, ამ კანონის მიღების შედეგად უქმდება თუ ძალაში რჩება „ცხოველთა სამყაროს შესახებ“ საქართველოს კანონი (ან მისი რომელიმე ნაწილი), ასევე ამ კანონის და „ტყის კოდექსის“-ის კანონქვემდებარე აქტები, რომლებიც არეგულირებენ ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხს (მაგ. ნადირობა, თევზჭერა, სამონადირეო მეურნეობების შექმნა-ფუნქციონირება და ა.შ.). გაუგებარია, შედის თუ არა ცვლილებები „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში. ამ საკითხების კანონპროექტის შემუშავების საწყის ეტაპზე გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, კიდევ უფრო გაუგებარ და წინააღმდეგობრივ კანონმდებლობას მივიღებთ, რაც საბოლოო ჯამში ბიომრავალფეროვნების დეგრადაციას გამოიწვევს.

ასოცირების დღის წესრიგით, ზემოთ აღნიშნული ორი დირექტივისთვის 2017 წლიდან ეროვნული კანონმდებლობის შესრულება და კომპეტენტური უწყებების განსაზღვრა. მაგრამ აღნიშნული პროექტით, არაა განსაზღვრული პროცედურები, რის საფუძველზეც, ჰაბიტატების დაცვის მიზნით, ტერიტორიას შეიძლება მიენიჭოს „ზურმუხტის ქსელში ჩართული ტერიტორიის“ ან „ფრინველთათვის მნიშვნელოვანი ტერიტორიის სტატუსი“; არ არის განსაზღვრული ამ პროცესში საზოგადოების მონაწილეობის სამართლებრივი მექანიზმები; გაუგებარია, როგორ უნდა განისაზღვროს ამ ტერიტორიების მართვის მექანიზმები.

ამასთან, კანონპროექტი არ გვთავაზობს ბიომრავალფეროვნების ასპექტების ინტეგრირების კონკრეტულ მექანიზმებს ეკონომიკურ სექტორში გადაწყვეტილების მიღების პროცესში, კერძოდ, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ან სივრცული დაგეგმვის მეშვეობით.

აღსანიშნავია, ისიც რომ 2016 წლის სამოქმედო გეგმის ექვსთვიანი ანგარიშის თანახმად, მომზადდა კანონპროექტის განახლებული ვერსია სადაც „აისახა საერთაშორისო ექსპერტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან კანონპროექტთან დაკავშირებით მიღებული შენიშვნები და წინადადებები“. თუმცა საზოგადოებისთვის არ არის ხელმისაწვდომი ახალი სამუშაო ვერსია, აგრეთვე არაა ცნობილი რა შენიშვნები იქნა და არ იქნა გათვალისწინებული. ამასთან, სამინისტროს ბეპირი ინფორმაციის მიხედვით გამოთქმული შენიშვნების და არსებული პრობლემების საპასუხოდ, დაიწყეს თევზჭერის და ნადირობის შესახებ კანონპროექტებზე მუშაობა. თუმცა, ამ კანონებთან დაკავშირებული ინფორმაცია არ გასაჯაროებულა და ამ ეტაპზე ძნელია გაკეთებული სამუშაოს შეფასება.

2016 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული იყო 92/43/EC დირექტივის მეოთხე მუხლის განხორციელების მიზნით ზურმუხტის ქსელში ჩართვისთვის შერჩეული ტერიტორიების გადამონშება, დამატებითი ტერიტორიების შერჩევა და რუკაზე დატანა. აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპისათვის შერჩეული ტერიტორიების მნიშვნელოვან წილად ემთხვევა უკვე არსებულ დაცულ ტერიტორიებს. ხოლო ახალი საიტების შერჩევის საკითხი წინააღმდეგობას ხვდება ძირითადად ენერჯეტიკის სამინისტროსგან.

⁶⁷ დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 მაისის N343 დადგენილებით

სატყეო სექტორში მიმდინარე აქტივობები

2014-2015 წლების განმავლობაში სატყეო სექტორში ინტენსიურად მიმდინარეობდა მთელი რიგი საქმიანობების განხორციელება. შედეგად, 2015 წლის 24 დეკემბერს საქართველოს მთავრობამ გამოაქვეყნა ტყის კოდექსის ახალი სამუშაო ვერსია საზოგადოებრივი განხილვებისთვის. 2016 წლის დასაწყისიდან მიმდინარეობს კოდექსის არაოფიციალური წარდგენა პარლამენტში, სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფებისთვის საქართველოს რეგიონებში. მისასალმებელია, დასახული მიზანი, რომ ფართო საზოგადოებრივი განხილვების შედეგად მიღწეულ იყოს კონსენსუსი სატყეო სექტორთან მიმართებაში.

ტყის კოდექსის გარდა, სექტორში ინტენსიურად მიმდინარეობდა მთელი რიგი საპილოტე, თუ საკანონმდებლო საქმიანობა. მაგ. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) დახმარებით მომზადდა „ტყის მდგრადი მართვის ეროვნული კრიტერიუმებისა და ინდიკატორების შემუშავების“ დოკუმენტის მეორე ვერსია. თუმცა სამწუხაროა, რომ მან ვერ ჰპოვა შემდგომი ასახვა ახალ ტყის კოდექსში⁶⁸.

მსოფლიო ბუნების დაცვის ფონდმა - WWF, შეიმუშავა ტყის მდგრადი მართვის ეროვნული კრიტერიუმები და ინდიკატორები, რომლებიც მომზადდა საერთაშორისო სატყეო სამეურვეო საბჭოს (Forest Stewardship Council - FSC) პრინციპებისა და კრიტერიუმების შესაბამისად. ამჟამად, ასევე მიმდინარეობს ეროვნული სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ნებაყოფლობითი სერტიფიცირების პოტენციალის ანალიზი. მსოფლიო ბუნების დაცვის ფონდმა ჩამოაყალიბა სამუშაო ჯგუფი რომელშიც შედის ყველა დაინტერესებული მხარე, როგორც არასამთავრობოები და გარემოს და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, აგრეთვე, ბიზნესი⁶⁹. პროექტის დასრულება იგეგმება 2016 წლის ივლის-აგვისტოში, რის შემდეგაც გადაეგზავნება დამტკიცებისთვის FSC-ს.

სამწუხაროდ, ქართული მხარისგან დამოუკიდებელი მიზნების გამო, გადავადდა სატყეო მონიტორინგის ახალი სისტემის ჩამოყალიბება. ვორლდ რესურს ინსტიტუტმა (World Resource Institute-WRI) მოამზადა პროექტი Global Forest Watch (სატყეო მონიტორინგის ახალი სისტემა), რომელიც მიზნად ისახავს GFW 2.0 ტექნოლოგიის დანერგვას საქართველოში გაუდაბნობების, ტყისა და მიწის დეგრადაციის, ასევე უკანონო ჭრების შესამცირებლად და ბიომრავალფეროვნების დაცვის მიზნით. პროექტის მხარს დაუჭერს GEF/UNEP და მისი დაწყება 2016 წლის გაზაფხულიდან იგეგმებოდა, თუმცა გადაიდო ქართული მხარისგან დამოუკიდებელი მიზნების გამო.

ახალი სატყეო კოდექსი და არსებული გამოწვევები

მოკლედ განვიხილავთ, თუ რამდენად აგვარებს დღევანდელ კანონმდებლობაში არსებულ პრობლემებს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული ტყის კოდექსილ რამდენად შეესაბამება ის გარემოსდაცვითი პოლიტიკისა განმსაზღვრელ სტრატეგიულ დოკუმენტებსა და ევროკავშირის შესაბამის დირექტივებს.

მნიშვნელოვანია, რომ ტყის კოდექსი ხაზგასმულად აღიარებდეს და ეყრდნობოდეს “მდგრადი განვითარების პრინციპებს”, რაც ასახულია “გარემოსა და განვითარების რიოს დეკლარაციის” “21-ე საუკუნის გლობალური მდგრადი განვითარების პროგრამის - დღის წესრიგ 21-ის” და “ტყეების დაცვის, მდგრადი განვითარებისა და მართვის პრინციპების შესახებ არასაკანონმდებლო ვალდებულებათა განცხადების” დასკვნით დოკუმენტებში⁷⁰. ასოცირების ხელშეკრულების მეცამეტე თავი „ვაჭრობა და მდგრადი განვითარება“ მთლიანად ეყრდნობა რიოს დეკლარაციის პრინციპებს და მოუწოდებს საქართველოს მისი შესრულებისკენ.

ერთ-ერთი ყველაზე პრობლემურ საკითხს კანონპროექტში წარმოადგენს ტყით განსაკუთრებული დანიშნულებით სარგებლობა. ის სრულადაა გადმოტანილი მოქმედი კანონმდებლობიდან, არ შეესაბამება ტყისა და ბიომრავალფეროვნების დაცვისა და მართვის დეკლარირებულ მიზნებს და ეწინააღმდეგება ევროკავშირის ჰორიზონტულ კანონმდებლობას.

⁶⁸ „შემუშავდა ტყის მდგრადი მართვის ეროვნული კრიტერიუმებისა და ინდიკატორების დოკუმენტის მეორე სამუშაო ვერსია. 2015 წლის ნოემბერში, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების მხარდაჭერით სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ საერთაშორისო ექსპერტები, რომლებიც უზრუნველყოფენ ტყის მდგრადი მართვის ეროვნული ინდიკატორების დახვეწას „ 2015 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში.

⁶⁹ მთლიანად პროცესი 2016 წლის ივლის-აგვისტოში დასრულდება და შემდეგ გადაეგზავნება FSC დასამტკიცებლად

⁷⁰ მიღებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1992 წლის რიო-დე-ჟანეიროს გარემოსა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციის (United Nations Conference on Environment and Development, Rio de Janeiro, 1992) მიერ

ამჟამად, ბუნებრივ ეკოსისტემებში (მათ შორის ტყით დაფარულ ფართობებზე), სხვადასხვა ეკონომიკური/ინფრასტრუქტურული პროექტი ხორციელდება ისეთი რეგულაციების გამოყენებით, როგორცაა „სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობა“ და ამორიცხვა „ტყის ფონდიდან“. ეს კანონმდებლობა ძალზე არათანამიმდევრულია და შორს დგას მდგრადი განვითარების პრინციპებისგან. მისი პრაქტიკაში გამოყენების კონკრეტულ მაგალითების განხილვა მეტად რთულ სურათს წარმოაჩენს. ამ ფორმით ტყითსარგებლობის შედეგად ტყის განადგურებისა და დეგრადაციის ტემპმა გადააჭარბა ისეთ ტრადიციულ საფრთხეებს, როგორცაა არამდგრადი ტყის ჭრა და ძოვება.

ტყითსარგებლობის ეს ფორმა გამოიყენება ისეთი საქმიანობების განსახორციელებლად, რაც იწვევს ბიომრავალფეროვნებისა და გარემოს შეუქცევად დეგრადაციას: წიაღის მოპოვება, ელექტროსადგურების, ასევე მილსადენების, გზების და სხვა ხაზობრივი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ურბანული განვითარება და ა.შ.

„სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობასთან“ დაკავშირებული კანონმდებლობის ძირითად ნაკლოვანებებს შემდეგი გარემოებები:

- არ არის დადგენილი სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც ამა თუ იმ კონკრეტული საქმიანობის განხორციელების აუცილებლობას წარმოადგენს და რამდენად აუცილებელია ამ საქმიანობის განხორციელებისათვის „სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობა“;
- არ არის განსაზღვრული საქმიანობის შედეგად, ვინ უნდა იღებდეს „მნიშვნელოვან ეკონომიკურ სარგებელს“ - სახელმწიფო თუ საქმიანობის განმახორციელებელი კერძო პირი;
- არ არის დადგენილი, ეკონომიკური სარგებლის შეფასებისა და მნიშვნელობის განსაზღვრის საკითხი/პროცედურა;
- სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური სარგებლობის თაობაზე გადანყვეტილებას სამინისტრო ან მთავრობა იღებს მარტივი ადმინისტრაციული წესით, რაც გამორიცხავს დაინტერესებული საზოგადოების წინასწარ ინფორმირებასა და გადანყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობას;
- არ არის დადგენილი პროცედურა/მექანიზმი, რომლითაც უნდა შეფასდეს საქმიანობის გარემოსდაცვითი კანონმდებლობასთან შესაბამისობის საკითხი. გაუმართავია კომპენსაციის მექანიზმი. კანონმდებლობა გულისხმობს საქმიანობის შედეგად გარემოზე მიყენებული ზიანის ანაზღაურებას (კომპენსაციას), იმგვარად, რომ არ კი განიხილავს გარემოზე ზემოქმედების (ზიანის) აცილებისა და შერბილების შესაძლებლობებს (მათ შორის, ადგილმდებარეობის ან ტექნოლოგიური ალტერნატივების საშუალებით და სხვ.). ამ იერარქიის (ზიანის აცილება-შემცირება-კომპენსაცია) დარღვევის შემთხვევაში, ბიომრავალფეროვნების შეუქცევად დეგრადაცია გარდაუვალია.

აღსანიშნავია, რომ ტყის კოდექსის ახალი რედაქციით, უარესდება არსებული წესი, რომლის თანახმადაც, ტყითსარგებლობის აუქციონის გამოცხადებამდე, სალიცენზიოდ გასატანი ფართობების შესახებ გადანყვეტილების მიღება ხდება საჯარო ადმინისტრაციული წარმოების გზით. კანონპროექტის შემოთავაზებული რედაქცია გვაბრუნებს იმ დროსთან, როდესაც საზოგადოების მონაწილეობის გარეშე, გარემოსდაცვით, სოციალური და ეკონომიკური რისკების გათვალისწინების გარეშე, გაიცა ათეულობით გრძელვადიანი ხე-ტყის დამზადების ლიცენზია. აღსანიშნავია ისიც, რომ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ არაერთხელ განაცხადა, რომ ეს იყო ცუდი პრაქტიკა და მომავალში უარს იტყოდა ტყითსარგებლობის ამ ფორმაზე.

კანონპროექტის 39-ე მუხლის თანახმად, „ტყით სპეციალური მოსარგებლე შეიძლება იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირი და ტყის მართვის ორგანო“. ხოლო მე-40 მუხლის თანახმად, ტყის მერქნიანი მცენარეებით, მისი პროდუქტებით სარგებლობა და ტყის პლანტაციური მეურნეობის მოწყობა ტყის მართვის მიზნებიდან გამომდინარე შეიძლება განხორციელდეს ტყის მართვის ორგანოს მიერ ტყითსარგებლობის დოკუმენტის გარეშე. ეს ნიშნავს, რომ „ტყის მართვის ორგანო“ - სახელმწიფო შპს, ერთდროულად არის ტყითსარგებლობის სანებართვო დოკუმენტების გამცემიც, მათი პირობების გამკონტროლებელიც და მონოპოლისტი მოსარგებლევც. ამავდროულად, მის საქმიანობას პრაქტიკულად არავინ გააკონტროლებს. მსგავსი რეგულაციის დაშვება კატეგორიულად არ შეიძლება, ვინაიდან შეიცავს კორუფციული გარიგებების მაღალ რისკს.

აღსანიშნავია, ისიც რომ 2016 წლის სამოქმედო გეგმის ექვსი თვის შესრულების ანგარიშში ხაზგასმულია რომ დაწყებულია ტყის ახალი კოდექსის თანმდევი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების განხილვა და შესაბამისობაში მოყვანა, თუმცა რამდენადაც კოდექსი არ არის დამტკიცებული პარლამენტის მიერ, მისი კანონქვემდებარე აქტების შემუშავება სარისკოა და შეიძლება გამოიყენებელი დარჩეს.



ეს გამოცემა მწვანე ალტერნატივას პროექტის - „ევროინტეგრაციის გამონვევები უკეთესი გარემოსდაცვითი მმართველობისათვის“ ფარგლებში. პროექტი ხორციელდება ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით.

ამ გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები გამოხატავს მწვანე ალტერნატივას პოზიციას და არ შეიძლება განხილულ იქნეს ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველოს“ და ევროკავშირის შეხედულებათა ამსახველად.



© მწვანე ალტერნატივა, 2016

თბილისი, 0179,
ფალიაშვილის ქ.#27/29, II სართ.
ტელ: (995 32) 222 38 74; 229 27 73
ფაქსი: (995 32) 222 38 74
GREENALT@GREENALT.ORG
WWW.GREENALT.ORG